საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 267 (795) სამშაბათი, 21 დეკემბერი, 1993 წელი ფასი 300 კუპონი

პირველი სვეტი

დაარსდა ჩვენი წარმომადგენლობა

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკასა და ბენილუქსის (ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა ბენილუქსის ქვეყნებში, ქალაქ ანტვერპენში.

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი უარყოფს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის წარმომადგენელმა უარყო რუსეთის ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ 19 დეკემბერს გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ გასულ კვირადღეს საქართველოს სამთავრობო ჯარებმა განახორციელეს შეტევა აფხაზეთის გალის რაიონში. პრესცენტრის მონაცემებით, საბრძოლო მოქმედება ბოლო დღეებში ამ რაიონში არ წარმოებულა.

ქუთაისი

რესპუბლიკაში შექმნილი რთული ვითარების გამო ქუთაისში კომენდანტის საათის მოქმედების ვადა გაგრძელდა 1994 წლის 20 იანვრამდე.

ქუთაისის რძის კომბინატიდან შეიარაღებულმა მძარცველებმა გაიტაცეს 18 ტონა რძის ფხვნილი. მიმდინარეობს გამოძიება.

ქუთაისში მოწყობილ ერთ-ერთ ორგანიზებულ პიკეტზე დაკავებულ იქნა ავტომობილი, რომელშიც აღმოჩნდა 798 კილოგრამი შაქრის ფხვნილი.

ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით ჩამორთმეული შაქარი გაუნაწილდათ ქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს.

როცა მეგობარს უჭირს

ქართული თეატრის დახმარების ფონდი დააარსეს რუსეთის სასცენო ხელოვნების მოღვაწეებმა. მისი პროგრამა ითვალისწინებს რუსეთის ყოველი თეატრის მიერ თავისი სპექტაკლისაგან მიღებული შემოსავლის გარკვეული პროცენტის სისტემატურ გადარიცხვას. პირველ ასეთ დახმარებას მიიღებენ ქართველი კოლეგები, რომლებიც მძიმე ხანას განიცდიან, უკვე ახალ წლამდე; ჰუმანური დახმარების განაწილება დაევალა ქართული თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობს ოთარ მეღვინეთუხუცესს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

უწინარესად ენერგეტიკული პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ!

ედუარდ შევარდნაძის 20 დეკემბრის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში იყო ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ექსპრემიერმა საკმაოდ სერიოზული ბრალდება წამოგიყენათ. მან თქვა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადაწყვიტა საქართველოში სტაბილიზაციის ფონდის შექმნის მიზნით 200 მილიონი დოლარი გადმოერიცხა, თუკი ეროვნული ბანკი თავის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეცვლიდა. თქვენ კი ეს წერილი გადამალეთ, რომ ხალხს უსასოობის განცდა გაჩენოდა და თანამეგობრობაში შესვლაზე დაგთანხმებოდათ, — კომენტატორ ნატო ონიანის ამ შეკითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ.

— ამ კითხვასთან დაკავშირებით მომიხდება არასერიოზულ პრობლემაზე სერიოზული პასუხის გაცემა. ასეთი წერილი სავალუტო ფონდიდან მართლაც მივიღეთ. სავალუტო ფონდმა ჩამოაყალიბა თავისი პირობები, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა საქართველოს სტაბილიზაციის ფონდის შესაქმნელად მიეღო გარკვეული კრედიტი. ლაპარაკი იყო 60-დან 70-მდე მილიონ დოლარზე. წამოყენებული იყო რეკომენდაციების მთელი კომპლექსი — ფინანსური სფერო და ურთიერთობა, კანონმდებლობა, ბიუჯეტის გასავალ-შემოსავალი, სოციალური ხარჯების შემცირება-მოწესრიგება და სხვა მრავალი.

შემიძლია გამოვაქვეყნო ის წერილი. არაფერი საიდუმლო აქ არ არის. მასში, რა თქმა უნდა, იყო ლაპარაკი საკრედიტო პოლიტიკაზეც, როგორც აქ წამოყენებული პირობების ერთ-ერთ ელემენტზე. ამ დოკუმენტზე არის ჩემი რეზოლუცია მაშინდელი ვიცე-პრემიერისათვის ბატონ რომან გოცირიძისთვის: სასწრაფოდ შეისწავლეთ და მიეცით მსვლელობა.

ეს საკითხი ახლაც შესწავლის სტადიაშია. სავალუტო ფონდთან ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი. მიუხედავად იმისა, რომ წინა მინისტრთა კაბინეტიდან ბევრმა იმოგზაურა ვაშინგტონში, გამოვიდა კიდეც იქ სიტყვით, ესწრებოდა სხვადასხვა ფორუმებს, ურთიერთობა, ჯერჯერობით, მაინც არ არის აგებული მყარ, საქმიან საფუძველზე.

მე ვემზადები შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად. მანამდე იქ ჩავლენ ჩემი წარმომადგენლები. არ გამოვრიცხავ, რომ გავაგზავნო ბატონი ჯავახიშვილი, ან ფინანსთა მინისტრი, ან ორივენი ერთად. ჩემი იქ ყოფნის დროს მექნება საკმაოდ ხანგრძლივი საუბრები სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობასთან თუ როგორ ვითანამშრომლოთ შემდგომში, რა პირობებია გასათვალისწინებელი, ბუნებრივია, ამის შესახებ საზოგადოება ინფორმირებული იქნება.

რამდენად ზნეობრივია თუ უზნეო ბატონ თენგიზის გამოსვლები, ეს თვითონ მკითხველმა და მსმენელმა განსაჯოს და იმსჯელოს. ქვეყანა კრიზისში შეიყვანო, ხალხი აშიმშილო იმისათვის, რომ თანამეგობრობაში შეხვიდე, ამის საფუძველი მოიპოვო — ეს რომ თქვა, გაბოროტებამ, ალბათ, გონება უნდა დაგიბინდოს და დაგინისლოს, არ ვიცი, რა ჭირს და რა დაემართა მას.

რაც შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, გადაწყვეტილებები მიღებულია, ყველაფერი შემოწმებულია. ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა სამართალდამცავი ორგანოებისა და საკონტროლო სისტემების მუშაკთა დიდი თათბირი, მოვისმინე მათ მიერ განხორციელებული მუშაობის პირველი შედეგები. მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და სათანადოდ შეფასდება.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე გასაკეთებელზე მეტი გაკეთდა, კერძოდ, დიდი წინასწარი შემოწმების გარეშე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი გადადგა. შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობით დაინიშნა შემოწმებები. ყველა ეპიზოდი ცნობილია: რა გაიცა, ვინ წაიღო, რამდენად საფუძვლიანი და სამართლიანი იყო ეს გადაწყვეტილებები. ყველაფერი შეფასდება კანონის პოზიციიდან.

მე იმის განკარგულებაც გავეცი, რომ შემოწმების შედეგები გამჟღავნდეს და დაეგზავნოს ყველა პარლამენტარს, არაფერი საიდუმლო ამაში არ არის.

ბანდიტურ ჯგუფებთან ბოლო დროს გააქტიურებული ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— დასკვნა ასეთია: შინაგან საქმეთა სამინისტროში და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში ბანდიტური ჯგუფების შესასწავლად მუშაობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და ახლა მოხდა მისი რეალიზაცია. აქამდე რატომ არ მოხდა? იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ყურადღება დაკავშირებული იყო ჯერ აფხაზეთის ომთან, მერე კი დასავლეთ საქართველოს პრობლემებთან, ჩვენს წინაშე სხვა ამოცანები იდგა და ამის გამო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორსაც ეს პრობლემა იმსახურებს.

არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ აღვნიშნო იმ აქციების მნიშვნელობა, რაც დასავლეთ საქართველოში განხორციელდა. უმთავრესი შედეგი კი ის არის, რომ სამეგრელომ ამოისუნთქა და ამოისუნთქა საქართველომაც. მე სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, ამ კუთხეს მზრუნველობით უნდა მივხედოთ-მეთქი, ისე როგორც ყველა ჩვენს რეგიონს, რაიონს. ვფიქრობ, რომ ახლა დაიწყო გაჯანსაღების პროცესები, იქმნება შედარებით ნორმალური ცხოვრების პირობები. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რომ უფრო ინტენსიურად და ორგანიზებულად ვიმუშაოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო შინაგან საქმეთა სამინისტროს გააქტიურება დამნაშავეობის და, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორივე ოპერაცია — „სვირის საძმოსა" და ქუთაისისა, ასევე სხვებიც, რომლებიც ჯერ არ არის ცნობილი და, დარწმუნებული ვარ, დაგეგმილი აქვს სამინისტროს, იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ საქართველოში არიან ძალები, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელთაც შეუძლიათ ქვეყანაში წესრიგი დაამყარონ.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალები ამასთან დაკავშირებით ბევრს ნერვიულობენ, ზოგიერთი წინასწარ იზღვევს თავს. მე ასე ვიტყოდი: პოლიტიკური ძალები ბანდიტურ ფორმირებებს, საერთოდ, შეიარაღებულ ფორმირებებს არ უნდა ქმნიდნენ. თუ ქმნიან, პასუხს აგებენ. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება, კანონს ვერავინ გადაუხვევს. ასე რომ, ვისაც კანონი არ დაურღვევია, შეუძლია მშვიდად იყოს, ვინც დაარღვია, იმან, ალბათ, უნდა იფიქროს...

გასულ კვირას საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით გამართული ბიზნესმენებთან შეხვედრის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა:

— ახალი წლიდან საქართველოში შემოდის ინგლისის აღიარებული ფირმა, რომელსაც ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობის მოპოვების დიდი გამოცდილება აქვს. გაზის საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებით ჩვენთან იმუშავებენ ამერიკელები, ავსტრალიელები. გადაწყდა, რომ თბილისთან ახლოს აშენდება შედარებით მინიატურული ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, დაახლოებით 3-4 ათასი ტონის სიმძლავრით და ამასთან ერთად გაიზრდება ნავთობის მოპოვება თბილისის მიმდებარე რაიონებში. ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ აუცილებელი მარაგი განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, შევქმნათ რეზერვი ნორმალური განათებისა და გათბობისთვის, თვითმფრინავების, სასწრაფო დახმარების მანქანების და სხვა საშუალებების დაუბრკოლებელი ექსპლუატაციისთვის.

გერმანელები კომუნიკაციებში მილიონებს აბანდებენ. ფირმა „სიმენსმა" 50 მილიონი მარკის დაბანდებაზე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის. შემდეგ იყო „ტენდერი" — გაიმარჯვა ავსტრალიურმა ფირმამ, რომელიც 18 მილიონ დოლარს ჩადებს საქმისათვის. მომავალი წლიდან დაიწყება ეს სამუშაოები. კომუნიკაციები ყველაფრის საფუძველია და ეს მათ კარგად ესმით.

განახლდა მოლაპარაკება ფოთთან, ბათუმთან დაკავშირებით. ის, რაც ადრე მხოლოდ მოსაზრების დონეზე იყო, ახლა უკვე რეალურ და კონკრეტულ გამოხატულებას იღებს.

ჩვენ გასანაწილებელი გვექნება 30 მილიონი გერმანული მარკა, რომელიც ასევე კრედიტის სახით უნდა მივიღოთ. ახლა მთავრდება თურქული კრედიტის განაწილება. ყველაფერ ამაში ჩართული იქნებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები. ჩემი და მოქალაქეთა კავშირიდან ჩემი კოლეგების შეხვედრა ბიზნესმენებთან სიმბოლური იყო. ჩვენ ასე გადავწყვიტეთ: შეიქმნება ბიზნესცენტრი და ამ ცენტრში თვეში ერთხელ გვექნება შეხვედრები, რომლებზეც განვიხილავთ ქართული ბიზნესისთვის საჭირბოროტო პრობლემებს. ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ თანამედროვე ბიზნესის მეშვეობით გამოვა მდგომარეობიდან და ნამდვილ, პატიოსან ბიზნესს მოვლა-პატრონობა, მეთვალყურეობა და დახმარება უნდა.

მე ვხედავ, რომ მოვიდა საინტერესო ადამიანების ჯგუფი. მათ შორის არიან ახალგაზრდები, მათთან ერთად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს გამოცდილი ადამიანები.

კომენტატორის კითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე ჩანაფიქრი ქვეყნის ხელისუფლებას ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— სამწუხაროდ, ადრეულ წლებში საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ მომზადებული საქართველოში ენერგეტიკის განვითარების გეგმები გარკვეული მიზეზების გამო არ განხორციელდა. ენერგეტიკული კრიზისი, საშინელი გაჭირვება, რასაც დღეს განვიცდით, იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც წლების განმავლობაში ახორციელებდა ხელისუფლება. ჩვენ კი, ჯერჯერობით, გარდატეხას ვერ მივაღწიეთ.

ჩვენი ღონისძიებები ორ ეტაპად უნდა გაიყოს: პირველი ის, რაც დღეს, ხვალ ან მომავალ სეზონში აუცილებლად უნდა გაკეთდეს. და მეორე, უფრო პერსპექტიული მოსაზრებების ჩამოყალიბება, რომლებმაც გარკვეული გეგმის ხასიათი უნდა მიიღონ და მათ სარეალიზაციოდ აუცილებელი იქნება უცხოური კაპიტალის მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მივიღე, რომ შეიქმნას სახელმწიფო კომისია — სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს სახელმწიფო პროგრამა, დაახლოებით, ათწლიანი პერსპექტივით — რა რესურსები აქვს საქართველოს და როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი. ჩვენ ვერ ვაფასებთ იმ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელსაც ჰიდრორესურსები ჰქვია. თუ ვიანგარიშებთ რა რაოდენობის რესურსები მოდის ერთ კვადრატულ კილომეტრზე, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ამ უზარმაზარი სიმდიდრის მხოლოდ რამდენიმე პროცენტია გამოყენებული. ზოგიერთი მტკიცებით, მხოლოდ 12 პროცენტია გამოყენებული, ბოლო მონაცემებით კი —4-5 პროცენტი. როცა დასავლეთმა ხელი მოჰკიდა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას და განვითარებას, მას უკვე ათვისებული ჰქონდა თავისი რესურსების 70-80 პროცენტი.

როგორ გამოვიყენოთ ეს რესურსები? უფრო ეფექტური იქნება, უპირველეს ყოვლისა, ხელი მოვკიდოთ მცირე ჰესების მშენებლობას. აქ ბევრი ინიციატივაა, საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება ძალიან საინტერესო ასოციაცია. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ ტელევიზიამაც დაიწყო საინტერესო მუშაობა. მაგრამ, საჭიროა უფრო სისტემური და მეცნიერული მიდგომა, სახელმწიფო პროგრამის დამუშავება. ასევე საჭიროა დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა, რა თქმა უნდა, ეკოლოგიის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით, რათა გარემომცველ ბუნებას არავითარი ზიანი არ მიადგეს.

მეორე — ეს არის ჩვენი ნახშირი, რომლის გამოყენებაზე ამ ბოლო დროს დავიწყეთ სერიოზული ლაპარაკი. აქაც საკმაოდ დიდი საშუალებები გვაქვს. გერმანიაში, სხვა ქვეყნებში არიან პარტნიორები-ბიზნესმენები, რომელთაც აინტერესებთ სწორედ ეს მიმართულება. შეიძლება გამოიძებნოს დაფინანსების წყარო, კერძოდ, მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენთან შემოდიან ნავთობის კომპანიები. მე დარწმუნებული ვარ, რომ 5-6 თვის შემდეგ, უფრო სწორად, მომავალი წლის სეზონისათვის, გარკვეული შედეგები გვექნება. ესეც მნიშვნელოვანი წყაროა. ამას დაემატება მზის ენერგია, მიწისქვეშა თბილი და ცხელი წყლები, რითაც მდიდარია საქართველო და სხვა. ყველაფერი ამისათვის უნდა შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა. თუ მიიღებენ ჩემი კოლეგები, შეიძლება მე ვუხელმძღვანელო ამ პროგრამის განხორციელებას. ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის გარეშე კრიზისიდან გამოსვლასა და ნორმალური ცხოვრების ფაზაში შესვლაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— ამ კვირაში თურქმენეთში დაგეგმილია თქვენი ვიზიტი, შეხვედრა უმაღლეს დონეზე. რას ელოდებით ამ ვიზიტისგან და როგორ ფიქრობთ. რამდენად შეძლებთ ამჯერად საქართველოსთვის დახმარების მიღებას?

— ჩვენ თუ ახლა რაიმეთი ვსულდგმულობთ, ეს არის თურქმენეთისგან მოწოდებული გაზი, რომელსაც ვიღებთ უზბეკეთზე და ყაზახეთზე ტრანზიტით. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ტრანზიტის გადასახდელი 80 მილიონი დოლარი უფრო გვიჭირს, ვიდრე თვით ამ გაზის ღირებულების გადახდა. ვერ გეტყვით, რით დამთავრდება ჩემი ვიზიტი. თუ მივაღწიეთ ვალის დაფარვის ვადების გადადებას — დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მერე კი უნდა ვიფიქროთ, სავალუტო ფონდიდან, ან ევროგაერთიანებიდან, ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კრედიტების მიღებაზე, რომლითაც შეიძლება ვალი დავფაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლა ურთულეს კრიზისში აღმოჩნდება მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა. ვფიქრობ, რომ რაღაც ანგარიშს გაგვიწევენ.

ამ ვიზიტის ძირითადი მიზანი არის ჩემი და ჩემი კოლეგების მონაწილეობა თანამეგობრობის ქვეყნების აშხაბადის შეხვედრაში, რომელიც უმაღლეს დონეზე გაიმართება. აქ შეიკრიბებიან სახელმწიფოთა მეთაურები, პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა, თავდაცვის მინისტრები და მათი ექსპერტები. ვიმუშავებთ ორ დღეს, მინისტრები მესამე დღესაც იმუშავებენ. გარკვეული იმედებით მივდივარ იქ. დოკუმენტები და გადაწყვეტილებათა პროექტები ძირითადად მოიცავენ ეკონომიკურ სფეროს და ურთიერთობას სამხედრო სფეროში, რომლის კურსი უფრო ლიბერალიზაციისკენ არის აღებული. დოკუმენტები, რომელთაც გავეცანი, ჯერჯერობით მისაღებია. რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, აქ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების საკმაოდ დიდი პაკეტია. გუშინ მქონდა შეხვედრა ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების მონაწილეობით და ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მიმართულებები ჩვენს ინტერესებს შეესაბამება.

როცა ყურადღებით ვეცნობი თანამეგობრობის მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თანამეგობრობაში წინა პლანზე სწორედ ეკონომიკური ურთიერთობა წამოვა, ჩვენ ეს სავსებით გვაძლევს ხელს.

— გასულ კვირას გამოიცა თქვენი ბრძანებულება კრიზისის დაძლევის შესახებ. გასულ კვირასვე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. რას ნიშნავს დღეს ეს საქართველოსათვის და რა ურთიერთკავშირშია ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან?

— ბრძანებულებაში ლაპარაკია იმაზე, რომ დამთავრდეს კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის შედგენა. ამაზე დიდი ხანია მუშაობენ მინისტრთა კაბინეტი, ეკონომიკის სამინისტრო, სხვა სამინისტროები, უწყებები და ჩამოყალიბდა გარკვეული მოსაზრებები. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ზოგიერთ მასალას გავეცანი და მიმაჩნია, რომ საჭიროა სერიოზული კორექტივების შეტანა, ამ მოსაზრებების დახვეწა და სისტემაში მოყვანა. მუშაობა იანვრის ბოლომდე დამთავრდება და გარკვეულ სახეს მიიღებს. ეს იქნება სახელმწიფოს მეთაურის დოკუმენტი, მოხსენება ან ინფორმაცია, ან მინისტრთა კაბინეტის მოხსენება, რომელიც შემდეგ წარედგინება საზოგადოებას. ვფიქრობ, რომ დოკუმენტით პარლამენტიც დაინტერესდება.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ დოკუმენტის მომზადება დაემთხვა საქართველოსთვის განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ეს სტატუსი, თუ მას საქმის ცოდნით გამოვიყენებთ და სათანადო შეუპოვრობას გამოვიჩენთ, ბევრ რამეს გადაწყვეტს დადებითად. როცა ჩვენ შევადგენთ კრიზისიდან გამოსვლის პროგრამებს, ეს სტატუსი საშუალებას მოგვცემს, რომ ამ პროგრამების დასაფინანსებლად ვეძებოთ რეალური წყაროები. თუ არ ვცდები, 24 ქვეყანაა, რომლებიც წყვეტენ საკითხს, მიანიჭონ თუ არა ამა თუ იმ ქვეყანას განვითარებადის სტატუსი. განვითარებულ ქვეყნებს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი აქვთ გამოყოფილი განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამავე დროს, უმრავლეს ქვეყნებში, საკმაოდ სერიოზული შეღავათებია ბანკების, კერძო სექტორის, კერძო ბიზნესისა და იმ ბიზნესმენთა მიმართ, რომლებიც თავიანთ სახსრებს დააბანდებენ განვითარებად ქვეყნებში. ამ პროცესს სახელმწიფო აძლევს სტიმულს. მე გარკვეული იმედით ვუყურებ ამას და ვფიქრობ, რომ სწორი შეხამებაა — კრიზისიდან გამოსვლის პროგრამების მომზადება და ამავე დროს დამატებითი წყარო იმისა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროგრამა დაფინანსდეს ამ სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით.

გამოჩენილი ამერიკელი მოღვაწის ზბიგნევ ბჟეზინსკის საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

— ბჟეზინსკი თანამედროვეობის შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია. ბუნებრივია, მას აინტერესებდა, რა ხდება ყოფილ საბჭოთა კავშირში, რა პროცესები მიმდინარეობს და როგორ ხედავს ეს აღიარებული სპეციალისტი და მეცნიერი ამ მოვლენებს. ამისათვის მას უნდა ემოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, თავის ვიზიტს დაასრულებდა უკრაინაში. მის პროგრამაში საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო. ვფიქრობ, ბჟეზინსკი დარწმუნდა იმაში, რომ საქართველოს გადასახედიდან ბევრი რამ უფრო თვალნათლივ ჩანს, ვიდრე ზოგიერთი სხვა ქვეყნის დედაქალაქებიდან. აქ ძალიან საინტერესო საუბრები გაიმართა და მე სულიერი კმაყოფილება მივიღე ამ მაღალი ინტელექტის პოლიტიკოსთან ურთიერთობით. ძირითად მოვლენებზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში და, არა მარტო ამ ფარგლებში, ჩვენი შეხედულებები ემთხვევა, მათ შორის, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენთვის ბევრი რამ იყო საყურადღებო. კმაყოფილი ვარ იმით, რომ შეხვედრა-სემინარს, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების საერთაშორისო კვლევით ცენტრში მოეწყო, ესწრებოდა ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ვფიქრობ, ბატონმა ბჟეზინსკიმაც ბევრი რამ საყურადღებო მოისმინა და ჩვენმა აუდიტორიამაც საკმაოდ კარგი გაკვეთილი მიიღო.

— თქვენ იცით, რომ დადის ხმები იმის შესახებ, თითქოს სამი თვით, ზოგიერთების თქმით, 6 თვით მიემგზავრებით ამერიკაში თუ გერმანიაში სამკურნალოდ და შემდეგ აღარ დაბრუნდებით. თქვენს აპარატში მომცეს ასეთი ინფორმაცია, რომ თქვენი ჩამოსვლიდან დღემდე აფხაზეთში დაჰყავით 49 დღე, დასავლეთ საქართველოში — 16 დღე, 6-ჯერ იყავით სამაჩაბლოში. როგორც ჩანს, გამოჩნდნენ მადლიერი ადამიანები. რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ შევარდნაძემ უნდა დაისვენოს...

— როგორც ჩანს, საშვებულებო და სამკურნალო ლიმიტი ამოწურული მქონია თუ სერიოზულად ვიტყვი, სამკურნალოდ არა, მაგრამ საზღვარგარეთ მართლა წასასვლელი ვარ. რამდენიმე ვიზიტი გადავდე, მათ შორის, დანიშნული ვიზიტები თურქეთში, ისრაელში. მელოდებიან საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვა ქვეყნებში. ეს გასართობი ვიზიტები არ არის. გადადებულმა ვიზიტებმა ბევრი რამ დაგვაკარგვინა, მათ შორის ინვესტიციების მოპოვების, მეტი ჰუმანური დახმარების მიღების თვალსაზრისით და სხვა. ამიტომ, წასვლა აუცილებელია, მაგრამ არა 6 თვით ან 3 თვით, არამედ თითოეულ ქვეყანაში 3-8 დღით, ან უფრო მოკლე დროითაც.

ეტყობა, ზოგიერთს ბევრი დრო აქვს და არ იცის რაში დახარჯოს იგი. სწორედ უსაქმურობაში იბადება ჭორები. მე კი მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები ჭორი იყოს, მით უმეტეს ბოროტი ჭორი.

დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა განკარგულება საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის, სამართალდამცავი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ამასწინანდელ რესპუბლიკურ თათბირზე დასმული საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა ოპერატიულად განიხილოს თათბირზე აღძრული ის საკითხები, რომლებსაც სამთავრობო გადაწყვეტილება სჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, შინაგან საქმეთა, უშიშროების, იუსტიციის მინისტრებს დაევალათ ერთი კვირის ვადაში კოლეგიების სპეციალურ სხდომებზე განიხილონ აღნიშნულ თათბირზე მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და დავალებები, დასახონ ღონისძიებანი საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში და 1994 წლისათვის მუშაობის ძირეული გაუმჯობესების მიზნით. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მოქალაქეთა უფლებების ხელყოფის, ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმის, კორუფციის, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს პრეზიდენტყოფილისა და მისი თანამზრახველების მიერ საქართველოში ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა გამო აღძრული საქმეების ობიექტური, კვალიფიციური და დროული გამოძიება.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად უნდა შეისწავლოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა კონტროლს დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებების კანონიერების შესახებ. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს დაევალათ წარმოადგინონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის დასამტკიცებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციის სქემა. როგორც განკარგულებაშია მითითებული, ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობის შესახებ უნდა მოხსენდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის უფროსს დაევალოს განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკის საბაჟოებში წესრიგის დასამყარებლად და შედეგები მოახსენოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს.

თათბირი მესტიის რაიონის პრობლემებზე

20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მესტიის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. თათბირზე გამოსვლისას, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მაღალმთიანი მესტიის რაიონის ფქვილით, სათბობით უზრუნველყოფისთვის, თბილისსა და მესტიას შორის საავიაციო მიმოსვლის აღდგენისთვის. მესტიის რაიონის გამგებელმა ელგუჯა ჯაფარიძემ თქვა, რომ რაიონის ხელმძღვანელობა საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება კრიმინალურ ელემენტებს და რაიონის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში და მესტია-ჯვარის ავტოტრასაზე მოქმედ ბანდიტურ ჯგუფებს. როგორც მან თქვა, ამჟამად რაიონში იმდენი იარაღი აქვს მოსახლეობას, რომ რაიონული პოლიციის ძალებით მათი ჩამორთმევა შეუძლებელია. ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე, რომ რაიონი განიცდის საწვავ-საპოხი მასალების დეფიციტს.

პარლამენტის დეპუტატი ლია ცინდელიანი შეეხო ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს და აღძრა საკითხი თბილისსა და ზუგდიდთან მესტიის საავტომობილო მიმოსვლის განახლების, აგრეთვე მესტიის რაიონის ავტოტრასებზე მართლწესრიგის აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მითითება მისცა სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებს, მიმართონ ღონისძიებებს, რათა უახლოეს ათ დღეში აღადგინონ მართლწესრიგი მეზობელ რაიონებთან მესტიის დამაკავშირებელ ავტოტრასებზე, განამტკიცონ პოლიციის რაიონული განყოფილების რიგები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ირაკლი მენაღარიშვილმა თქვა, რომ 21 დეკემბერს თბილისიდან მესტიაში მოეწყობა ჰუმანური ავიარეისი — მესტიაში ჩაიტანენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არხებით საქართველოში მიღებული ჰუმანური დახმარების ნაწილს.

პრესკონფერენცია მოსკოვში

17 დეკემბერს საქართველოს მოსკოვის საელჩოში გაიმართა საქართველოს დელეგაციის პრესკონფერენცია საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გამო რეკომენდაციათა შესამუშავებლად ექსპერტთა შერეულ ჯგუფში მისი მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ირაკლი მაჭავარიანმა გააკეთა ინფორმაცია მოლაპარაკების მიმდინარეობისა და საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე წინადადებათა პროექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის ფართო ავტონომიის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში და უფლებამოსილებათა გამიჯვნის დეტალურ ჩამოყალიბებას. როგორც მან თქვა, აფხაზთა დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს, რომელზეც გამოტანილი იქნება საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის, ფედერალური ან კონფედერალური ურთიერთობის, ანდა აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწემ თეიმურაზ სტეპანოვმა შეკრებილთ გააცნო საქართველოს დელეგაციის განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ სანამ აფხაზეთში გრძელდება საბრძოლო მოქმედება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე ყოველგვარი ლაპარაკი ნაადრევია.

კირა ანდრონიკაშვილი,
საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ჭირისუფლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილის დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ზურაბ კერვალიშვილის თავმჯდომარეობით.

მ. ა. მეგრელიშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი

მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

გასავალი არ შეიძლება აღემატებოდეს შემოსავალს

საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა თავის 18 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით, განიხილა მომავალი წლის პირველი კვარტალის რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტი. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილმა ამ დოკუმენტმა ნათლივ ასახა არა მარტო ფინანსების, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკის რეალური, კრიზისული მდგომარეობა. საკმარისია ითქვას, რომ შემოსავალზე გასავლის გადამეტებამ ბიუჯეტის პროექტში შეადგინა 87 პროცენტი. მაშინ, როცა წლის შემოსავლის ნაწილი განსაზღვრული იყო სულ 216 მილიარდ 637 მილიონი კუპონით, გასავლის ნაწილმა შეადგინა ტრილიონ 720 მილიარდ 840 მილიონი კუპონი, ესე იგი, ბიუჯეტის დეფიციტი პროგნოზირებული იყო ტრილიონ 504 მილიარდ 200 მილიონი კუპონით. ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, რომელმაც ეს ციფრები მოიყვანა, აღნიშნა, რომ გასავლის ყველაზე დიდი მუხლი, რომელიც თითქმის ხუთჯერ აღემატებოდა სოციალური და კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხას, დაგეგმილი იყო რესპუბლიკის თავდაცვითი საჭიროებების ასიგნებისათვის.

პერსპექტივა, ვერაფერს იტყვი, სულაც არ არის სანუგეშო! როგორც სხდომაზე ითქვა, ბიუჯეტში ასეთი დეფიციტი პრაქტიკულად შეუძლებელია ახალი სამეურნეო წლის დაწყება, ძალზე ძნელი იქნება, თავი დავაღწიოთ გაჭირვებულ მდგომარეობას. ხოლო თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების პროგნოზირებულ დეფიციტს, რომელიც სპეციალისტთა გამოანგარიშებით ტრილიონ 204 მილიარდ 745 მილიონ კუპონს შეადგენს, საქართველოს მთელი კრებსითი ბიუჯეტის უარყოფითი ბალანსი 2 ტრილიონ 700 მილიარდ კუპონს აღემატება. თუმცა, ესეც არ არის ზღვარი, რადგან, როგორც სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, შეუკავებელი ინფლაციის პირობებში რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება 6 ტრილიონ კუპონამდე გაიზარდოს.

გასაგებია, რომ კაბინეტის წევრთაგან ვერავინ ვერ დაუჭირა მხარი ბიუჯეტის ასეთ პროექტს და იგი ერთსულოვნად უარყვეს. მიღებულია გადაწყვეტილება, შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ერთხელ კიდევ გადასინჯავს წარმოდგენილ პროექტს. შესაბამისად დახვეწს მას, თანაც, როგორც გასავლის შემცირების, ისე შემოსავლის გაზრდის თვალსაზრისით, და წლევანდელი წლის დამლევამდე გამოიტანს მინისტრთა კაბინეტის დასამტკიცებლად. ნავარაუდევია, რომ ეს კომისია მუდმივმოქმედი გახდება. როგორც მისმა ხელმძღვანელმა — რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ზურაბ კერვალიშვილმა თქვა, დიდი მუშაობა მოგველის პროექტის დამტკიცების შემდეგაც, რადგან ძალზე საჭირო იქნება მკაცრი კონტროლი დავუწესოთ ბიუჯეტის შესრულებას.

სხვათა შორის, საგნობრივი საუბარი იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ განახორციელოს კონტროლი ბიუჯეტის შესრულებისადმი, მისი სახსრების ხარჯვისადმი, მიმდინარეობდა სხდომაზე თვით რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საკითხის განხილვისას. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ამ სამინისტროს დებულება და სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოს, რომელმაც უნდა განახორციელოს რესპუბლიკის საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა. სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ანგარიში საქართველოს 1992 წლის კრებსითი ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენენ რესპუბლიკის პარლამენტს. დადგენილია, რომ ამ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილმა შეადგინა 47.757.200 ათასი მანეთი, ხოლო გასავლის ნაწილმა — 52.749 ათასი მანეთი, რის შედეგადაც, გასავალზე შემოსავლის გადამეტებამ შეადგინა 2.304.451 ათასი მანეთი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 24 თებერვალს მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“, 1993 წლის 4 ივნისს დამტკიცებული ამ პროგრამის სარეალიზაციო ღონისძიებათა გეგმა, პროგრამის განხორციელებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად ნუსხით გათვალისწინებული აუცილებელი კანონები და კანონქვემდებარე აქტები არ არის სრულყოფილად შემუშავებული და ამოქმედებული, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციის გეგმა ფაქტობრივად არ სრულდება. ღრმავდება ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, ძლიერდება ჰიპერინფლაცია, იზრდება უმუშევრობა, მკვეთრად ეცემა კუპონის კურსი, წარმოებისა და ცხოვრების დონე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გააანალიზოს ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და 1994 წლის 20 იანვრამდე წარმოადგინოს პროგრამის ახალი, ძირფესვიანად კორექტირებული ან ალტერნატიული რედაქცია რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური კრიზისის დაძლევის მიზნით.

2. გაუმართლებლად გაჭიანურდა 1993 წლის 17 სექტემბერს გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპებისა და ინდიკატური გეგმის სადისკუსიო წესით განხილვა და საბოლოო, სრულყოფილი, ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, მოსახლეობის საარსებო დონეზე. მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის 20 იანვრამდე დაამთავროს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური ინდიკატური გეგმის შედგენა და ამოქმედება.

3. ვიცე-პრემიერებმა (ზ. კერვალიშვილი, ა. ქადაგიშვილი, ა. მარგიანი, ი. მენაღარიშვილი, თ. ნადარეიშვილი) უზრუნველყონ შესაბამისი სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ინსპექციების, სააგენტოების, სახელმწიფო კორპორაციების, კონცერნების, სხვა უწყებების საქმიანი და ოპერატიული მონაწილეობა კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის ერთიანი რესპუბლიკური პროგრამის შემუშავებასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენაში.

4. რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა, დეპარტამენტმა, ინსპექციამ, სახელმწიფო კორპორაციამ და კონცერნმა, მინისტრთა კაბინეტს დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და თავიანთ უწყებებსა და სისტემებში აამოქმედონ კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამები და კომპლექსური გეგმები, რომლებიც ერთიანი რესპუბლიკური პროგრამისა და ინდიკატური გეგმის შემადგენელ კომპონენტებს უნდა წარმოადგენდნენ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

5. ეკონომიკის (მ. ჯიბუტი), ფინანსთა (დ. იაკობიძე), სახელმწიფო ქონების მართვის (ა. სილაგაძე) სამინისტროებმა, მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა (მ. გვიშიანი) სრულყონ ეკონომიკური რეფორმების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და პერსპექტიული პროგრამები არსებული პროგრამების გადამუშავებისა და დახვეწის გზით (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

6. ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე), საქართველოს ეროვნულ ბანკთან (ნ. ჯავახიშვილი) ერთად დაამთავრონ საფინანსო და საბანკო რეფორმების კონკრეტულ პროგრამაზე მუშაობა და დასამტკიცებლად წარმოადგინონ. (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

7. ეკონომიკის სამინისტრომ (მ. ჯიბუტი), ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) და საგადასახადო ინსპექციამ (დ. სალარიძე) ეროვნულ ბანკთან ერთად (ნ. ჯავახიშვილი) შექმნან ერთობლივი პროგრამა „ბიუჯეტი“ (რეკომენდაციები საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით) (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

8. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (ა. თავხელიძე), საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიამ (ვ. მეტრეველი) ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ნ. ჭითანავა), მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა (ვ. პაპავა), სხვა დაინტერესებულმა სამეცნიერო ცენტრებმა გააანალიზონ, შეაფასონ და წარმოადგინონ დასკვნები სამოქმედოდ შემოღებული ანტიკრიზისული პროგრამების, გეგმებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების არაეფექტურობის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეიმუშაონ აღნიშნული პროგრამების სრულყოფის რეკომენდაციები და თუ საჭიროდ და შესაძლებლად მიიჩნევენ, დაკვეთის წესით, შექმნან ანტიკრიზისული, ალტერნატიული პროგრამისა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტები. (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

9. აუცილებელია უწყებათშორისი და დარგთშორისი ინტეგრირებული კონკრეტული მოქმედების პროგრამებისა და კომპლექსური გეგმების სასწრაფოდ შედგენა და განხორციელება. ამ მიზნით პირველ რიგში საჭიროა:

— მრეწველობის სამინისტრომ (გ. კერესელიძე), დეპარტამენტებმა: „საქნავთობი“ (რ. თავაძე), „საქენერგო“ (ი. შედია), „საქგაზი“ (დ. ელიაშვილი), „საქნახშირი“ (ა. ბოჭორიშვილი), კონცერნმა „ნავთობპროდუქტები“ (დ. ზუბიტაშვილი) წარმოადგინონ რესპუბლიკის მრეწველობასა და ენერგეტიკაში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის კონკრეტული პროგრამა და სამოქმედო გეგმები. (პროგრამები: „მრეწველობა“, „ენერგეტიკა“), (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ (ბ. კვესიტაძე), მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის (ზ. გეგეჭკორი) და სატყეო მეურნეობის (დ. გიგაური) დეპარტამენტებმა, პურ-პროდუქტების კორპორაციამ (ა. ბურჯანაძე) შეიმუშაონ ეკონომიკის აგრარულ-სამრეწველო სექტორში კრიზისის დაძლევის პროგრამა (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტმა (გ. მირიანაშვილი) უზრუნველყოს მშენებლობის დარგში კრიზისის დაძლევის პროგრამის შემუშავება (პროგრამები: „მშენებლობა“, „არქიტექტურა“), (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია) მოამზადოს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად კავშირგაბმულობის განვითარებისა და სრულყოფის პროგრამა (პროგრამა „კავშირგაბმულობა“) საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის (რ. ვაშაკიძე), საზღვაო ტრანსპორტის (ბ. ვარშანიძე), საჰაერო ტრანსპორტის (ზ. ჭანკოტაძე), საავტომობილო ტრანსპორტის (გ. გოგიჩაიშვილი) დეპარტამენტებმა და კონცერნმა „საქავტოგზამ“ (ბ. სალარიძე) უზრუნველყონ ტრანსპორტის დარგში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის შემუშავება (პროგრამა „ტრანსპორტი“), (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ (მ. ზანკალიანი) სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად უზრუნველყოს ვაჭრობასა და მომარაგებაში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის შექმნა (პროგრამები: „ვაჭრობა“, „მომარაგება“) (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

— გარემოს დაცვის სამინისტრომ (შ. ადამია) სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეადგინოს ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების პროგრამა (პროგრამა „ეკოლოგია“) (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);.

— ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტმა (ა. კავსაძე) და ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა (ვ. ვაშაკიძე) შეადგინონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვისა და თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში მათი დაბრუნების კონკრეტული პროგრამა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მონაწილეობით. (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი);

10. შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ვ. გუჯაბიძე) და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოამზადონ პროგრამები: „შრომა“, „მოსახლეობის სოციალური დაცვა“, „ჯანმრთელობა“, „სადაზღვევო მედიცინა“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

11. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა (თ. გელეიშვილი) და საბაჟო დეპარტამენტმა (ვ. ლორთქიფანიძე) სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ჩამოაყალიბონ პროგრამები: „ექსპორტი“, „იმპორტი“, (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

12. თავდაცვის სამინისტრომ (გ. ყარყარაშვილი), იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე), უშიშროების სამინისტრომ (ი. გიორგაძე), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), მაშველთა კორპუსმა (გ. გელაშვილი), სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და ოპერატიულად, ეფექტიანად აამოქმედონ პროგრამა „თავდაცვა, წესრიგი და კანონიერება“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

13. კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის თანამედროვე სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს აუცილებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფილი ნუსხა და ხელი შეუწყოს შესაბამისი კანონპროექტებისა და დოკუმენტების დროზე მომზადებას (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

14. განათლებისა (თ. კვაჭანტირაძე) და კულტურის (დ. მაღრაძე) სამინისტროებმა მოამზადონ რეფორმების პროგრამები: „განათლება“, „კულტურა“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

15. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ა. გოგელია) და პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციამ (ვ. რცხილაძე) საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციასთან (ვ. აბაშიძე) ერთად შექმნან პროგრამები: „რადიო“, „ტელევიზია“, „ჟურნალი“, „გაზეთი“, „წიგნი“, „მსოფლიო საინფორმაციო სამსახური“, (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

16. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტმა (ლ. ჯაფარიძე) და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის დეპარტამენტმა (ლ. ხოფერია) მეცნიერებათა აკადემიასთან (ა. თავხელიძე) და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთად შეიმუშაონ პროგრამები: „მეცნიერება“, „თანამედროვე ტექნოლოგია“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

17. ტურიზმისა (ქ. სალია) და სპორტის (ქ. ასათიანი), დეპარტამენტებმა მოამზადონ პროგრამები: „ტურიზმი“, „სპორტი“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

18. ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა (თ. ისაკაძე) შეიმუშაოს პროგრამა „XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის ახალგაზრდობის პრობლემები“ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

19. საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ა. ჩიკვაიძე) და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა (თ. გელეიშვილი) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სრულყონ საგარეო პოლიტიკის სახელმწიფო კონცეფცია, შეიმუშაონ პროგრამა „საგარეო პოლიტიკა: დიპლომატიური და ეკონომიკური ასპექტები““ (ვადა — 1994 წლის 20 იანვარი).

20. მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ეროვნულ ბანკთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, სხვა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან ანტიკრიზისული პროგრამისა და რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენის დროს ითანამშრომლონ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

21. სახელმწიფო მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აღნიშნული პროგრამებისა და ინდიკატური გეგმის პროექტების შემუშავების კოორდინაციას.

22. მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა პროგრამების შედგენისას ითანამშრომლონ პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან, ადგილობრივი მმართველობისა და ხელისუფლების ორგანოებთან, გამგებლებთან.

23. ანტიკრიზისული პროგრამისა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენის დროს მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები: განვითარებადი ქვეყნის სტატუსი.

ედუარდ შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1993 წლის 18 დეკემბერი.

ბიზნესის განვითარებისათვის ზრუნვა საქართველოს ხვალინდელი დღისთვის ზრუნვაა

საქართველოს ეკონომიკის ხვალინდელ დღეზე, სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების გზებზე იყო სჯა-ბაასი რესპუბლიკის საქმიან ადამიანებთან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე. 18 დეკემბერს, თბილისის „ბიზნეს-კლუბში“ არაოფიციალურ ვითარებაში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის, აფხაზეთისა და აჭარის ბიზნესის წარმომადგენლებმა, მთავრობის წევრებმა, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომლებმა განიხილეს საქმიანი ადამიანების წინაშე მდგომი პრობლემები, მათი როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.

შეხვედრაზე გამოსულმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ამგვარი შეხვედრების მოწყობას საქართველოს მოქალაქეთა კავშირი გეგმავს რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. პირველი მათგანი გაიმართა სწორედ ბიზნესმენებთან, რადგან ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, შეუძლებელია, თუ არ განვითარდა საბაზრო ეკონომიკა, არ განმტკიცდა ყველა ფორმის ბიზნესი, თითოეულ ახალ მოვლენას სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, მხარდაჭერა, და საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა შექმნას ქართული ბიზნესის განვითარების პირობები. საჭიროა, შესაბამისი კანონების პაკეტის მიღება, საყოველთაო ბრძოლა მართლწესრიგის დამყარებისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია საქმიან ადამიანთა მუშაობა. უნდა განვამტკიცოთ კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რადგან, ბიზნესი ვერ განვითარდება იზოლაციაში. საქართველოს კარგი ურთიერთობა აქვს პრაქტიკულად ევროპის ყველა ქვეყანასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, და, როგორც კი ქვეყანაში ვითარება სტაბილური გახდება, დასავლეთის ქვეყნების, უწინარესად გერმანიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ბიზნესი პირდაპირ მოგვაწყდება ჩვენ და ქართველ ბიზნესმენებს მისცემს საუცხოო შესაძლებლობებს პარტნიორობისთვის.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლა მნიშვნელოვანწილად ნაკარნახევია ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების ინტერესებით, რომელთა რეალიზება იზოლაციის პირობებში შეუძლებელია. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან გაწყვეტილი საქმიანი კონტაქტების აღდგენაში დიდი როლი განეკუთვნებათ საქართველოს ბიზნესმენებს. მრავალი მათგანი ახლა წარმატებით მოქმედებს რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, და, ეჭვგარეშეა, დახმარებას გაუწევენ თანამემამულეებს.

„უნდა მივესალმოთ დიდ ბიზნესში ახალგაზრდობის მოსვლას, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — ჩემი თაობის ადამიანები თვითნასწავლი ბიზნესმენები არიან, მათზე ზემოქმედებას ახდენს წარსული წლების შტამპები. საჭიროა სერიოზულად ვისწავლოთ ბიზნესი — სახელმწიფო დონეზე, მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში, წამყვან უნივერსიტეტებში. ყველაზე დიდი ფაკულტეტებია ბიზნესის, საქმიანი ურთიერთობების ფაკულტეტები. ასე უნდა ხდებოდეს ჩვენთანაც. საქართველოს განვითარების ფონდი დაეხმარება საქართველოს შესაბამის სასწავლებლებს დაამყარონ მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის საუკეთესო ბიზნესის სკოლებთან“.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა შეიგნოს: კერძო ინიციატივის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უფრო მეტი ყურადღება კი სჭირდება, ვიდრე ბიზნესს სახელმწიფო სტრუქტურებში. ახლა პარლამენტის კომისიებში განიხილავენ კანონპროექტებს, რომლებმაც უნდა გაუადვილოს კომერციული საქმიანობა საქმიან ადამიანებს, კერძოდ, გადასინჯოს სხვადასხვა გადასახადები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს იხმარს იმ კომერციული სტრუქტურებისათვის კრედიტების, ინვესტიციების გამოსაყოფად, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ მათი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება. ხოლო საქართველოს მოქალაქეთა კავშირი გამოიყენებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში არსებულ შესაძლებლობებს, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესს, რომლის მასშტაბებზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.

— ბუნებრივია, ბიზნესმენებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიასა თუ ორგანიზაციასთან, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. — მაგრამ მე ვურჩევდი მათ, იმედი დაამყარონ საქართველოს მოქალაქეთა კავშირზე. ეს რეალური ძალაა, რომელსაც მომავალი აქვს.

ე. შევარდნაძემ მიიღო სახალხო მოძრაობა „გეირათის“ ლიდერები

19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო ერთი წლის წინათ შექმნილი სახალხო მოძრაობის „გეირათის“ ლიდერები. იგი აერთიანებს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს და მიზნად ისახავს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კურსის მხარდაჭერას, დახმარებას დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, აზერბაიჯანთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარებაში.

შეხვედრის დროს შეეხნენ ამ ბოლო დროს დაგროვილ პრობლემებს აზერბაიჯანელთა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში — ძირითადად მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში. სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს ამ, ოდესღაც მშვიდ რეგიონში არსებული უკიდურესად საშიში სიტუაცია. აქ ნორმად იქცა ისეთი მოვლენები, როგორიც არის ძარცვა, ძალმომრეობა, ადამიანთა გატაცება. სავალალო სტატისტიკა: მარტო ამ ბოლო ხანს, მარნეულის რაიონიდან მოტაცებულია 22 კაცი, დმანისის რაიონიდან — 27, ბოლნისის რაიონიდან — 15, დანაშაულობანი გახსნილი არ არის, ადამიანთა ბედი უცნობია. არსებითად გამგეობა თავის სიმაღლეზე არ დგას. არც ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოები, არც მრავლად გაჩენილი სხვადასხვა გასამხედროებული ფორმირებანი არ ეწევიან ბრძოლას დამნაშავეობასთან. უფრო მეტიც, ცნობილია შემთხვევები, როცა ისინი, ვინც ადამიანები ბანდიტებისგან უნდა დაიცვას, თვითონ მონაწილეობენ ძარცვაში. ყოველივე ამან გამოიწვია დმანისის რაიონში მთელი რიგი სოფლების დაცარიელება: მეზობელ აზერბაიჯანში ხდება ასობით ოჯახის მიგრირება, წასვლისას გლეხები ჩალის ფასად ყიდიან პირუტყვს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ფირმებში, პრაქტიკულად პირუტყვი უკვე აღარ დარჩა. იმის გამო, რომ გზები გადაკეტილი აქვთ მძარცველებს, მეურნეობებს ვერ შემოაქვთ თესლი: აქ მიაჩნიათ, რომ გაზაფხულზე რეგიონში ვერაფერს ვერ დათესავენ. ამასთან, ერთად, მოქმედებენ პროვოკატორებიც, რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ცდილობენ გააფართოონ დამნაშავეობის ზონა, შექმნან დაძაბულობის ახალი კერა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამ რეგიონში შექმნილი სიტუაცია უნდა განვიხილოთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოქმნილ საგანგებო პრობლემათა კომპლექსით. დღეს არსად არ არის სიმშვიდე. მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ძარცვა-გლეჯა, ხორციელდება ღონისძიებანი ბანდების ლიკვიდაციისათვის, წესრიგის დამყარებისათვის. არის პირველი წარმატებანიც. დიდ იმედებს ვამყარებთ, კერძოდ, დამნაშავეობასთან ბრძოლის ქვეგანაყოფებზე, ახალ პოლიტიკურ მოძრაობაზე, რომელიც ფართოვდება და რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მაფიისა და განუკითხაობის თარეშს. უთუოდ, რესპუბლიკის აღმოსავლეთში მთელ რიგ საზღვრისპირა რეგიონებში შექმნილი შეუწყნარებელი ვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს აქ ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა დეტალური გეგმა.

სამხედრო ტყვეთა გაცვლა მდინარე ენგურთან

ჟენევის შეხვედრაზე მიღწეული მორიგებების თანახმად, ქართველთა და აფხაზთა მხარეებმა გაცვალეს სამხედრო ტყვეები, კვირას, 19 დეკემბერს, მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდზე. გაცვლის პროცესს აფიქსირებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩი, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წარმომადგენელი ივანე ჩუპროვი.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებმა შეამოწმეს ქართველთა მხარეზე მყოფი სამხედრო ტყვეები და დამაკმაყოფილებლად ცნეს მათი მდგომარეობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შვიდივე სამხედრო ტყვე იყო არააფხაზი ეროვნებისა (მათ შორის, რუსები, ადიღეელები, ჩეჩნები).

ქართველთა მხარის წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ენგურის ხიდთან მათი მოსვლის დროს აფხაზთა მხარეზე, ეტყობა,(სამხედრო ძლიერების დემონსტრაციისთვის, აწყობდნენ რამდენიმე ტანკის მანევრს. ხიდთან მორიგე ქართველმა მებრძოლებმა გვიამბეს, რომ ენგურზე იყო ავტომატური იარაღისა და ყუმბარსატყორცნების სროლა. აფხაზთა მხარემ ამ დროს მძიმე ტექნიკაც გამოიყენა...

პარლამენტართა შეხვედრისა და ანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, ქართველთა მხარეს გადასცეს აფხაზეთში ომის სხვადასხვა პერიოდში საბრძოლო მოქმედების დროს ხელში ჩაგდებული სამხედრო ტყვეები: ვლადიმერ დიდიშვილი, მალხაზ ქარჩავა, ზურაბ მამულაშვილი, რევაზ ნაროუშვილი, ვლადიმერ ნოსოვი, კახა კილაძე, იოსებ სოლოღაშვილი, ნუგზარ ირიაული, ივანე ჯანჭღავა, მერაბ ბარამია, დავით ჭონიაშვილი, ხვიჩა ჩადუნელი.

კვირას საღამოს, კი საქართველოს დელეგაცია სამხედრო ტყვეებთან ერთად დაბრუნდა თბილისში, სადაც ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრის შემდეგ ყოფილი ტყვეები გაანაწილეს საავადმყოფოებში, რადგან, მათ ტყვედ ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე აფხაზ სეპარატისტებს ტყვედ ჰყავთ გუდაუთელი ინჟინერი მურთაზ გელენიძე (მას ბრალად ედება ჯაშუშობა ქართველთა მხარის სასარგებლოდ) და ცნობილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორი ზურაბ პაპასკირი.

გოჩა აბლოთია,
საქინფორმის სპეც. კორ.

ყაზახეთიდან მარცვლეულის შეძენის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომელშიც მოწონებულია საქართველოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური სამთავრობო კომისიის მიერ ყაზახეთის რესპუბლიკიდან 700 ათასი ტონა სასურსათო ხორბლის შემოსატანად მომზადებული ღონისძიებების გეგმა.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1994 წლის ბიუჯეტის გეგმაში, გაითვალისწინოს ყაზახეთიდან 700 ათასი ტონა სასურსათო ხორბლის შეძენის ხარჯები.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მომარაგების, მრეწველობის სამინისტროებს, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, საბაჟო, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტებს დაევალათ უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა დროული შესრულება.

აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმის შესრულებას კონტროლს გაუწევს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი.

კახეთში რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მოაწყო თათბირი, რომელიც კახეთში სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას მიეძღვნა. აღინიშნა, რომ ენერგეტიკული კრიზისის გამო, რეგიონში რთული სიტუაცია შეიქმნა. შეფერხებებით ცხვება პური, ირღვევა ნორმირებული პროდუქტების მიწოდება, არ მუშაობს ტრანსპორტი, არ იღებენ საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს, რაც ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნის. მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაბამისი დავალებანი მიეცათ „საქენერგოს“, „საქგაზის“ დეპარტამენტებს, პურპროდუქტების რესპუბლიკურ კორპორაციას, ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირს, სხვა უწყებებს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც ადგილებზე განიხილავს საქმის ვითარებას კახეთის თითოეულ რაიონში და განახორციელებს ღონისძიებებს.

ვახტანგ გვარამია:

პროკურატურა სახელმწიფოს ფხიზელი თვალია და კანონიერების სადარაჯოზე დგას

„**სახელმწიფოს ფხიზელი თვალი**“ — უფრო ზუსტად ვერ დაახასიათებ პროკურატურის როლს სამართლებრივ სახელმწიფოში, — ამბობს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვახტანგ გვარამია. — პროკურატურის ტრადიციული ფუნქციების — კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის, მათ შორის მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლოსადმი ზედამხედველობის განხორციელება დღეს რთულია, რადგან სახელმწიფო, ფაქტობრივად, ჩამოყალიბების სტადიაშია. დანაშაულთა რეგისტრირებული ფაქტების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ამ ბოლო ხანს მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ დამნაშავეობისა და ბანდიტიზმის თარეში კვლავ დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ამ დღეებში, საზღვარგარეთის სტატისტიკას რომ ვათვალიერებდი, წავიკითხე, ნიუ-იორკში სიცოცხლისათვის ყველაზე საშიშია ტაქსისტის პროფესია, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ნებისმიერი მოქალაქე, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, დაცული არ არის. იმ სტატისტიკაში დასახელებულია ტაქსისტი, რადგან იგი ღამის საათებში მუშაობს, ჩვენთან კი მკვლელობანი დღე-ღამის ნებისმიერ დროს ხდება.

ვითარება უაღრესად რთულია. მაგრამ ფაქტების კონსტატაცია საკმარისი არ არის. ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი კრიზისული სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ ყოფილა. დამნაშავეებმა შექმნეს იარაღის ვაჭრობის, ნარკობიზნესის, რეკეტის მთელი მაფიოზური სინდიკატები და ადამიანთა მოტაცებაც კი თავიანთ ხელობად გაიხადეს.

1990 წლამდე, ამ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, ყველაზე უარესად მიჩნეული იყო წელიწადი, როცა მკვლელობათა რიცხვი 240-ს აღწევდა. ახლა კი მარტო თერთმეტი თვის განმავლობაში 736 კაცი დაიღუპა.

— ეტყობა, მხედველობაში გაქვთ სამხედრო ცნობებიც?

— არავითარ შემთხვევაში. ეს მკვლელობანი მოხდა არა საომარ მოქმედებათა დროს, არამედ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებაში, თუ შეიძლება ამ დროს მშვიდობიანი ეწოდოს. მარტო ამ ბოლო კვირის მანძილზე მოხდა 36 მკვლელობა, თანაც მკვლელობათა უმრავლესობა ჩაიდინეს ავტომატური იარაღის გამოყენებით და იმ ადამიანებმა, რომლებიც ხშირად სამხედრო ფორმას ატარებდნენ. მაგალითად, დღისით-მზისით მოკლეს ქალაქ თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე — ძალზე პრინციპული და მაღალპროფესიონალი იურისტი.

არ ინდობენ ელიტარულ დამნაშავეებსაც კი. გორში მოკლეს „კანონიერი ქურდი“ ნოდარ მუმლაძე, თბილისში სულ ახლახან — დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი არსენ მიქელაძე. დღე-ღამის ნებისმიერ დროს ეს გამუდმებული სროლა შიშის ზარს სცემს მშვიდობიან მოსახლეობას. ხალხის სამართლიან აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. ამას მოწმობს პიკეტებიც პარლამენტის შენობის წინ, როცა ხალხი მოითხოვს ბოლო მოეღოს ზღვარგადასულ დანაშაულობებს.

— მაშ როგორ ახორციელებს პროკურატურა თავის მთავარ ფუნქციას — ზედამხედველობას კანონიერების დაცვისადმი მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში?

— ძალზე რთული დანაშაულობანი გაიხსნა პროკურატურის დახმარებით. მოვიყვან მხოლოდ ერთ ციფრს: მარტო ორი წლის განმავლობაში მოხდა ოთხი ათასი ყაჩაღური თავდასხმა, თანაც ბევრი მათგანი უკავშირდება მოქალაქეთა სიცოცხლის მოსპობას, მათი გახსნა მაღალპროფესიონალიზმს, დიდ გამოცდილებას, სიმტკიცეს, ამტანობასა და უძილო ღამეებს მოითხოვს.

ვიმეორებ, ვითარება უაღრესად რთულია. შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა სპეციალური თათბირი სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებთან, სადაც ყველას მოუწოდა უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ დამნაშავეთა სამყაროს. სწორედ ეს თათბირი გახდა ათვლის წერტილი ჩვენს მუშაობაში.

უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგალითად, სამართალდამცველმა ორგანოებმა გამოავლინეს შეიარაღებულ დამნაშავეთა რამდენიმე ჯგუფი, რომელთა ანგარიშშია ყაჩაღური თავდასხმები, მკვლელობები და გამოსყიდვის მიზნით ადამიანთა მოტაცების ფაქტებიც კი. ამას წინათ გავაუვნებელყავით 12-კაციანი ბანდიტური ჯგუფი კობა ბექუაშვილის მეთაურობით, რომელიც თავაწყვეტილად იქცეოდა, დაუსჯელად ატერორებდა და ძარცვავდა გურჯაანის, თელავის, ყვარლის, გარდაბნის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონების მოსახლეობას. ხედავთ, რა არეალი ჰქონდათ დამნაშავეებს? თავიანთი დაუსჯელობითა და თავხედობით იქამდეც კი მივიდნენ, რომ სიღნაღის რაიონში გაიტაცეს სამი ტრაქტორი, სათესი აგრეგატები, მისაბმელები, ტრაქტორების სალტეები. ხოლო როცა ჯგუფი ამხილეს, ხელთ იგდეს — დაიწყეს თავის დაძვრენა, ტყუილების თქმა, რათა კვალი დაეფარათ და საკუთარი ტყავი გადაერჩინათ. სხვათა შორის, დამნაშავე უკვე ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი ბევრად უფრო ვერაგი, საშიში, ეშმაკია და, რაც უმთავრესია, ხშირად უკეთ არის შეიარაღებული, ვიდრე პოლიციელი, რომელიც მას სდევნის. ბექუაშვილმა წინასწარი პატიმრობის საკანში მძევლად აიყვანა მორიგე პოლიციელი და იარაღით ხელში მოითხოვდა, გამათავისუფლეთ, თორემ ყველას აგაფეთქებთო. როცა ეს „არ გაუვიდა, მან თვითონ დაიჭრა თავი. უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

— თქვენი აზრით როგორ მივედით აქამდე, რა იყო მთავარი მიზეზი?

— მიზეზი რამდენიმეა, მაგრამ მთავარია სამოქალაქო ომი. ომი ყოველთვის საზარელი რამ არის, მაგრამ როცა ძმა ძმაზე ხელს აღმართავს, ეს უკვე აპოკალიფსისია, ქვეყნიერების დასასრულია. ჩვენთან კი ორ ნაწილად გაიყო არამარტო საზოგადოება, არამედ მოხდა პიროვნების გაორებაც.

უნდა გვეომა ერთი მხრივ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის გადამთიელი ჩეჩნების, კაზაკების, კონფედერატების წინააღმდეგ, მეორე მხრივ — ჩვენზე წამოსული ბნელი ძალის წინააღმდეგ, პროვინციული ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ყველას დაღუპვას გვიქადდა.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ 1989 წლიდან, როცა კომუნისტური სისტემის კრიზისმა აპოგეას მიაღწია და საზოგადოებამ მკვეთრი ნგრევა დაიწყო, მოსახლეობას დიდძალი იარაღი დაუგროვდა.

შემთხვევით ხომ არ განაცხადა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა თათბირზე, უცნობია, სად გაქრა 18 ათასი ავტომატიო. მისამართი ცნობილია; ისინი მოსახლეობას აქვს. სამწუხაროდ, იარაღს უკონტროლოდ გასცემდნენ. იარაღს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, ჯერ კიდევ 1990-1991 წლებში, სწორედ ის ადამიანები აძლევდნენ, მხედველობაში მყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწინდელი ხელმძღვანელობა, რომელსაც ეს უნდა აღეკვეთა.

შედეგად მივიღეთ განუკითხაობა. მაგრამ სამართალდარღვევებთან ეფექტიან ბრძოლას მარტო ეს როდი უშლიდა ხელს, ასე განსაჯეთ, არც ის, რომ საქართველოში გაჩნდნენ კანონიერი თუ უკანონო შეიარაღებული რაზმები, რომლებიც იარაღის ტარების უფლებისა და ქვეყანაში წესრიგის თვითონ დამყარების უფლების პრეტენზიას აცხადებდნენ. ჩვენი მთავარი უბედურება ის გახლავთ, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოები დაქსაქსულნი აღმოჩნდნენ, და ამიტომაც დაკარგეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფოს მეთაური იძულებული გახდა თავად ჩასდგომოდა სათავეში ამ სამინისტროს და ამით კარდინალური ცვლილებანი შეეტანა მის მუშაობაში. ამ ბოლო ხანს შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ, რომ სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა. იქმნება ბრძოლისუნარიანი სამინისტრო, რომელსაც, ვიმედოვნებთ, ნებისმიერი ამოცანის შესრულების უნარი შესწევს.

იგივე ხდებოდა უშიშროების სამინისტროშიც. ჩვენ გვქონდა რამდენიმე ორგანო, რომლებიც კონტრსადაზვერვო ფუნქციებს ასრულებდა. იყო ხან რამდენიმე პოზიცია, ხან რამდენიმე კონტრდაზვერვა, და, ზოგჯერ, ვერ გაიგებდი, როგორ, როდის, და ვის მიმართ უნდა დაგვეწესებინა საპროკურორო ზედამხედველობა.

დროებამ მოითხოვა პროკურატურის მუშაკთა სერიოზული გამოცდა. ამჟამად ათობით ჩვენი მუშაკი სათავეში უდგას საგამოძიებო ჯგუფებს და იმყოფება დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ისინი გულმოდგინედ იძიებენ დანაშაულთა ფაქტებს , რომლებიც იქ ამ ბოლო ხანს მოხდა.

მაგრამ იმისთვის, რომ შევცვალოთ სიტუაცია, საჭიროა, დამნაშავეთა სამყაროსთან საბრძოლველად აღდგეს მართლაც მთელი ქვეყანა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობასთან ჩვენი შეხვედრები გვიჩვენებს, რომ ჩვენთან ერთად აღდგა ხალხი და შორს არ არის ის დღე, როცა,ბოლოს და ბოლოს, კანონიერება გაიმარჯვებს.

როგორ ვუშველოთ საქართველოს

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

მოდის მომავალი თაობა, ომის საშინელებით შემკრთალი და იარაღის ჩხარუნით გაოგნებული, ბავშვობა, რწმენადაკარგული, გაუხეშებული ფსიქიკით. თაობა, რომელმაც ხვალ და ზეგ ქვეყნის ჭაპანი უნდა გასწიოს.

გავა რამდენიმე წელი და ქვეყანა დამშვიდდება, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ეთნიკური კონფლიქტები ჩაცხრება, კრიმინოგენური სამყარო აილაგმება და სწორედ მაშინ აღმოჩნდება, რომ მთავარი არ არის გაკეთებული, — ადამიანთა ფსიქიკა მოუგვარებელია, თაობის ცოდნა და ჩვევა — გაუკუღმართებული და ეს გადაულახავ კედლად აღიმართება ჩვენს წინ. ასეთი პრობლემები ძალის გამოყენებითა და ხელის ერთი მოსმით არ წყდება. ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებას და აღზრდა-განათლებას ათეული წლების რუდუნებითი შრომა და გონივრული წარმართვა სჭირდება. აი, ამას უნდა შველა, ამაზე ფიქრი და ზრუნვა აქედანვეა საჭირო.

ეს პროლოგი ლაიტმოტივად გასდევდა ამას წინათ, განათლების სამინისტროს სხდომათა დარბაზში ჩატარებულ შეხვედრას, სადაც თავი მოეყარათ განათლების სისტემის როგორც ცნობილ მოღვაწეებს, ასევე ახალგაზრდა, პერსპექტიულ კადრებს, თავიანთი საქმის აღიარებულ სპეციალისტებს.

შეხვედრის თაოსნები, საინიციატივო ჯგუფის წევრები შეეხნენ განათლების სისტემაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, გააანალიზეს მისი წარმოშობის მიზეზები, წარმოადგინეს მოსაზრებები ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის გადაუდებელ და სამომავლო ღონისძიებათა შესახებ.

შეხვედრაზე ინფორმაციით გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, განათლების დარგის ცნობილი მუშაკი, პროფესორი მ. დარჩია.

სიტყვებით გამოვიდნენ: ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ლ. ჩიქვანაია, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის რექტორი გ. მურღულია, განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე კ. სუჯაშვილი.

„განათლება — XXI“

მათ შეკრებილთა გააცნეს განზრახვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის — „განათლება XXI“ — შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა გააერთიანოს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა, მომავალი თაობის ბედით დაინტერესებულ თანამოაზრეთა ძალები საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნითი ღონისძიებების დასაჩქარებლად, მისი განვითარების პროგრესულ რელსებზე დაყენების გზით დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის სათანადო ბაზის მოსამზადებლად.

ორგანიზაცია ამოცანად ისახავს მიაღწიოს განათლების დარგის პრიორიტეტული განვითარების დაკანონებას, ხელი შეუწყოს განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციაში, ქმედითი ზომები მიიღოს მატერიალური ბაზის დაცვისა და შემდგომი განმტკიცებისათვის, აქტიურად იზრუნოს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პედაგოგიური პრინციპებისა და ნორმების დასაცავად, მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში არსებული დარღვევების აღსაკვეთად.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ და ასეთი მოძრაობის წამოწყებას მხარი დაუჭირეს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ ნ. ვასაძემ, განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. კობახიძემ, განათლების ფონდის თავმჯდომარემ გ. ენუქიძემ, აკადემიკოსმა შ. ამონაშვილმა, პროფესორმა ზ. ფორაქიშვილმა, დოცენტმა ზ. ცუცქირიძემ და სხვებმა.

ორგანიზაციის „განათლება-XXI“ დაფუძნების იდეის განხორციელებაში თავიდანვე აქტიურად ჩაება პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის თავმჯდომარე გ. გურგენიძე და მისი კოლექტივი.

ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფს შეხვედრები ჰქონდა დედაქალაქის განათლების მუშაკთა თითქმის ყველა რაიონის აქტივთან, სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებთან, ახალგაზრდა პერსპექტიულ კადრებთან, რომლებიც ერთხმად გამოთქვამენ მზადყოფნას აქტიურად ჩაებან პროფესიონალ პედაგოგთა ამ სამომავლო მოძრაობის ფერხულში.

დღეისთვის დედაქალაქისა და მიმდებარე რაიონების განათლების თითქმის ყველა განყოფილებასთან შექმნილია საორგანიზაციო ჯგუფი, გამოყოფილია ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამისა და წესდების შემმუშავებელი კომისია, მზადაა საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტი, გამოჩნდნენ სპონსორები, მკითხველები მალე მიიღებენ ამ ორგანიზაციის გაზეთს „ორიონს“.

ორგანიზაცია ემზადება ყრილობის ჩასატარებლად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ მისამართებზე: **ზანდუკელის (ყოფილი ჭავახიშვილის) ქ. № 1, ტელ.: 93-28-98, ალმაშენებლის ქ. № 178, ტ. 34-11-34, უზნაძის ქ. № 68, ტ. 96-41-59.**

დარეკეთ, საქმე ჩვენს მომავალს ეხება!

ბადრი იაშვილი

გრიგოლ ონიანი:

„როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც...“

ორმოცი წელიწადი გავიდა 1953 წლის 5 მარტის შემდეგ, მაგრამ სტალინის ფენომენი მაინც არ არის გაშიფრული, თუმცა, ამ ხნის მანძილზე მასზე ზღვარდაუდებელი ლანძღვა-გინებაც მრავლად დაიწერა და ქებათა-ქებაც. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე მორგებულია მისი ერთ-ერთი მიკერძოებული მოწინააღმდეგის, პოლიტიკური მწერლის ა. ავტორხანოვის შეფასება: „სტალინი იყო კაცობრიობის ყველაზე საძულველი და ყველაზე საყვარელი, ღრმად პატივცემული და სასტიკად უგულებელყოფილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა მის მიმართ გულგრილი ადამიანი — ჰყავდა მხოლოდ მტრები ან ენთუზიასტები, არც ერთ მის თანამედროვეს არ დაუხატავს და, საეჭვოა, ვინმემ დახატოს სტალინის ზუსტი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი, რადგან სიკვდილის შემდეგაც კი მას არ ჰყავს მიუკერძოებელი თანამედროვე. მისი ფსიქოლოგიის გასაგებად, მისი მოქმედების შესაფასებლად და რუსეთისა და მსოფლიო ისტორიაში მისი ადგილის დასადგენად, საჭიროა ყველაზე მცირე 100-200-წლიანი ისტორიული ინტერვალი“.

ამ ცოტა ხნის წინათ, შევიტყვე, რომ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა ხსოვნის საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“. ვეწვიე საზოგადოების თავმჯდომარეს გრიგოლ ონიანს და ინტერვიუ ვთხოვე.

— ბატონო გრიგოლ, რა პროგრამა აქვს თქვენს საზოგადოებას, რა მიზნებს ისახავს იგი?

— საზოგადოება „სტალინი“ რეგისტრაციაში გატარდა, როგორც არაპოლიტიკური ორგანიზაცია და მიზნად არ ისახავს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. ის, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, შეეცდება მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით უფრო ფართოდ და ნათლად წარმოაჩინოს სტალინის პიროვნება, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გააცნოს საზოგადოებრიობას მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შუქ-ჩრდილები, პასუხი გასცეს იმ ამაზრზენ ბრალდებებსა და ცილისწამებებს, რომლებიც მიმართულია, როგორც სტალინის სახელისა და დამსახურების დასაკნინებლად, ისე ქართველი კაცისა და საქართველოს სახელის გასატეხად. ვაპირებთ თბილისში შევქმნათ სტალინის ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, დედაქალაქის რომელიმე კინოთეატრში რეგულარულად ვაჩვენოთ სტალინზე შექმნილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. საზოგადოება იმოღვაწებს მხოლოდ სტალინის სახელის უკვდავყოფისთვის და არა მისი იდეებისა და მართვის მექანიზმების პროპაგანდისთვის.

— მომხრე, მხარდამჭერი ბევრი გყავთ?

— ბევრი! უკვე გაცემული გვაქვს საზოგადოების წევრის 35 ათასი მოწმობა. თანამგრძნობი კიდევ სხვაა, და ეს მხოლოდ დასაწყისია, ჯერ ხომ არც შტაბბინა გვაქვს და არც საზოგადოების საბანკო ანგარიშის ნომერი გამოგვიქვეყნებია. აი, როცა საბოლოოდ დავლაგდებით, ვფიქრობ, წევრთა რაოდენობა ერთიორად იმატებს.

— მაინც რა კონკრეტული უახლესი ამოცანის გადაჭრაზე მუშაობთ ამჟამად?

— როგორც იტყვიან, კედელთან მიმაყენეთ, თორემ ნამდვილად არ მინდოდა ჯერ ამის გამხელა. რესპუბლიკის ომისა და შრომის ვეტერანთა, სტალინის ხსოვნის პატივისმცემელთა დაჟინებული თხოვნით, საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს, იოსებ სტალინის ნეშტის გადმოსვენება წითელ მოედნიდან საქართველოში. მერე კი საქმე გვიჩვენებს.

— ბატონო გრიგოლ, მოდით, უფრო დავაკონკრეტოთ. თქვენი ეს განზრახვა, ალბათ, ფართო საზოგადოებას დააინტერესებს. ამიტომ მან გამოწვლილვით უნდა იცოდეს ყველაფერი. თქვენ ბრძანეთ, სტალინი საქართველოში უნდა გადმოვასვენოთო. უფრო ზუსტად სად ფიქრობთ მის დაკრძალვას?

— ალბათ, ყველაზე უპრიანი გორი იქნება, მისი მშობლიური ქალაქი, ოღონდ ჯერ საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია — მისი სახლ-მუზეუმის წინ მდებარე ბაღში, თუ სტალინის მუზეუმის ვრცელ ვესტიბიულში, ე. ი. შენობაში, როგორც დაკრძალული არიან მსოფლიოს უდიდესი პიროვნებები. იქნებ სხვა უფრო საყურადღებო მოსაზრება ექნეს ვინმეს, სიამოვნებით გავიზიარებთ საზოგადოების აზრს...

გრიგოლ ონიანი: დაიბადა 1936 წელს ლენტეხში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებში შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1968 წლიდან ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზეა: სხვადასხვა დროს იყო დიღმის, მარტყოფის, ლილოს, მუხროვანის, სამთაწყაროს, სამგორის საბჭოთა მეურნეობების დირექტორი, ყიზლარის მარტვის გაერთიანების თავმჯდომარე, საკონსერვო ქარხნის დირექტორი. 1989-1990 წლებში, კომპარტიის აკრძალვამდე, არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

— მაგრამ, ალბათ, თვით გადმოსვენებაზეც აქვთ საწინააღმდეგო აზრი. მოგეხსენებათ, სტალინის მიმართ მის სამშობლოში სულაც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება. აი, თუნდაც გაზეთ „იბერია-სპექტრში“ წლეულს, თებერვალში, დაბეჭდილი მიხეილ მჭედლიშვილის სტატია „ვის სჭირდება სტალინის ნეშტი“ ავიღოთ. იგი ბატონ ლევან სანიკიძის იმ წერილზე გამოხმაურებაა, სადაც მწერალმა სწორედ სტალინის გადმოსვენების საკითხი დააყენა.

— მოწინააღმდეგენიც არიან, მაგრამ მომხრენი — განუზომლად მეტი. ჩვენს გვერდით დგანან კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე, გენერლები რომან გვენცაძე და ავთანდილ ცქიტიშვილი, აკადემიკოსი იოსებ ბუაჩიძე, ჩვენი სახელოვანი ფალავანი ლევან თედიაშვილი, ცნობილი სამეურნეო მუშაკი იოსებ ფანცხავა, ჟურნალისტი ლევან დოლიძე და სხვები, რომელთა გვარებსაც, სხვადასხვა მოსაზრებით, ჯერ არ დავასახელებ. სხვათა შორის, მე ამ საკითხზე აზრის გამოთქმა ვთხოვე 150-მდე პარლამენტარს, საწინააღმდეგო არავის არაფერი უცნობებია ჩემს წერილზე. მჭედლიშვილის ის წერილი წაკითხული მაქვს. ნათქვამია, თვალებს შუა ცხვირი რომ არ იყოს, ისინი ერთმანეთს დააბრმავებდნენო. მით უმეტეს — საქართველოში. სტალინს ქართული მიწა არ ეკუთვნისო, აცხადებს. ერთხელ გურამ პეტრიაშვილს ვუპასუხე ტელევიზიით — მაშ დიდი სტალინიდან ერთი პატარა პეტრიაშვილი აღარ გამოვა-მეთქი? ასევე ვუპასუხებ „იბერია-სპექტრში“ დაბეჭდილ წერილის ავტორსაც — ნუთუ დიდი სტალინიდან ერთი პატარა მჭედლიშვილი არ გამოვა, რომ ქართული მიწის ღირსი იყოს? ჩვენ განზრახული გვაქვს ქართული ტრადიციისამებრ მივაგოთ პატივი ჩვენი მიწა-წყლის შვილს, სისხლისა და ხორცის ნაწილს, ქრისტიანული წესით მისატევებელი მივუტევოთ და კეთილად მოსახსენებელი მოვუხსენიოთ ჩვენს მიცვალებულს. რა არის ამაში ცუდი და საკამათო.

— მართალია, დიდი ფრანგი ჰუმანისტი ვოლტერი გვასწავლის, თუ ბრალეულობის ასიათასი ალბათობის წინააღმდეგ ერთი ალბათობა პირის არაბრალეულობისაა, მაშინ ამ ერთმა ალბათობამ უნდა გადასწონოს ყველა სხვაო, მაგრამ სტალინის ბრალეულობათაგან იმდენია მძიმე და მიუტევებელი, რომ მას, ალბათ, ვერაფერი გადასწონის...

— როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც არ აქვს დანაშაული. მაგალითი დამისახელეთ!

— თუნდაც — 1937!

— ჯერ ერთი, 1937 აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. განა დღეს არ არის რეპრესიები გასატარებელი (ოღონდ ამის გატარების თავი არავის აქვს!) — ხომ არიან დივერსანტები, ტერორისტები, საზოგადოებრივი ცხოვრების ამღვრევები. მაშინაც ასე იყო და ქვეყანას მოვლა და დალაგება სჭირდებოდა. რკინის კაცი იყო და რკინის ხელითაც დაალაგა ყველაფერი. განა დღეს თვითონ ხალხი არ ითხოვს რკინის ხელს და რეპრესიებს? აი, ამას წინათ, მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ კრებას ვუსმინე ტელევიზიით. სულ „ადგილზე ლიკვიდაციას“ ითხოვდნენ მხცოვანი სწავლულნი.

პოზიცია

„ლიკვიდაცია“ ფიზიკურად მოსპობას ნიშნავს. სტალინს ადანაშაულებენ მაშინდელ „ლიკვიდაციებში“ (თუმცა ეს „ლიკვიდაციები“ „ადგილზე“ კი არა, ასე თუ ისე, სასამართლოს წესით ხდებოდა), რასაც დღეს, 60 წლის შემდეგ, თვითონვე ითხოვენ. მეორეც, უშუალო აღმსრულებელთა გადამეტებულ „გულმოდგინებაზე“ პასუხს სტალინს ნუ მოვთხოვთ.

ამას წინათ, ერთმა ჩვენმა სასიქადულო ისტორიკოსმა ტელევიზიით განაცხადა, სტალინი და ბერია გეგმაზომიერად ახორციელებდნენ საქართველოს გარუსებასო. დავინტერესდი. გადავათვალიერე ზოგიერთი მასალა და აი, რა ციფრები შემიძლია მოვიყვანო:

1917 წელს თბილისის მოსახლეობა 350 ათასს შეადგენდა, აქედან ქართველი მხოლოდ 20 პროცენტი იყო. თბილისის სათათბიროს 34 კომისიიდან, არც ერთს ქართველი ეროვნების კაცი არ განაგებდა, ხოლო თვით სათათბიროს 58 წევრიდან მხოლოდ 7 იყო ქართველი.

1952 წელს კი, როცა თბილისის მოსახლეობამ 800 ათასს მიაღწია, დიდი უმრავლესობა უკვე ქართველობა იყო. იმ წლის სექტემბერში გამართულ პარტიის თბილისის მეორე საოლქო კონფერენციაზე საოლქო კომიტეტის წევრად არჩეული 71 კაციდან, თუ გიორგი მალენკოვს არ ჩავთვლით, არც ერთი სხვა ეროვნებისა არ ყოფილა. თითო კაცი იყო გამონაკლისი 23 წევრობის კანდიდატსა და სარევიზიო კომისიის 11 წევრს შორის. ეს არის „რუსიფიკაცია?“ „რუსიფიკაციად“ მე ის უფრო მეჩვენება, რომ საქართველოს რკინიგზის სადგურები გადატვირთული იყო ციმბირიდან ჩამოსული ხე-ტყით, ურალიდან უწყვეტ ნაკადად რომ მოედინებოდა რკინის მადანი რუსთავში, შუა აზიიდან ბამბა — გორის კომბინატში და ბაქოს ნავთობი — ბათუმის გადამამუშავებელ ქარხანაში. ახლა ხორბლის უსასრულო ეშელონები?! სხვათაშორის, არც ტერმინი „ხალხის მტერი“ არ გახლავთ სტალინის მოგონილი. იგი იაკობინელებმა იხმარეს პირველად საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, შემდეგ კი ლენინმა აღადგინა 1921 წელს.

— ბევრ რამეში არ გეთანხმებით, მაგრამ ამაზე კამათი შორს წაგვიყვანს. ამიტომ სჯობს ისევ ნეშტის გადმოსვენების საკითხს დავუბრუნდეთ, ბატონო გრიგოლ. ალბათ დიდძალი თანხა დასჭირდება. ზოგი შეიძლება ამანაც კი გააღიზიანოს. მოგეხსენებათ, რა შიმშილობა და გაჭირვებაა ქვეყანაში.

— გადმოსვენებაზე არც ერთი სახელმწიფო კაპიკი არ დაიხარჯება. მე მჯერა, რომ ჩვენს მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე სამყოფი თანხა შემოვა, ჩვენ მადლობას გადავუხდით ყველას, ვინც თუნდაც 10 კუპონს შემოსწირავს ამ საქმეს. რომ იცოდეთ, არა ერთი და ორი ფულიანი კაცი თანახმაა მხოლოდ თვითონ გაიღოს საჭირო თანხა. მაგრამ სტალინი ერთი კაცის გადმოსასვენებელი არ არის, ეს საქმე ხალხმა უნდა გააკეთოს, სწორედ იმ გაჭირვებულმა და მშიერმა ხალხმა, და მჯერა, რომ ეს ასეც მოხდება.

— მაინც როდისთვის ვარაუდობთ გადმოსვენებას?

— ვნახოთ, ალბათ, 5 მარტისთვის. ერთი თვის წინათ გახლდით მოსკოვში ამ საქმესთან დაკავშირებით. იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დახმარებით (მადლობა მათ!) შევხვდი მოსკოვის მერიის ზოგიერთ ხელმძღვანელს. როგორც შთაბეჭდილება შემექმნა, რუსები, მით უმეტეს — მოსკოველები, სტალინის გადმოსვენების იდეას დიდი ტაშისცემით არ ხვდებიან. მაგრამ წითელი მოედნის მოსალოდნელ რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან დაკავშირებით, შეიძლება იქ მდებარე პანთეონი გაუქმდეს. ამდენად, სტალინიც გადასასვენებელი გახდება. თუ სტალინის ნეშტმა მზის სინათლე იხილა, მაშინ მისი სამშობლოში გადმოსვენება უეჭველია! დახმარება აღმითქვეს. თუ საფლავი წითელ მოედანზე დარჩა, ამას რა სჯობია, მაგრამ სხვაგან — არსად, მხოლოდ საქართველოში!

— ამასთან დაკავშირებით მახსენდება ტელეპროგრამა „ვესტის“ მიერ რამდენჯერმე გამეორებული ცნობა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში გაჩაღებულია მოძრაობა, შექმნილია კომიტეტი სტალინის „წინაპართა ისტორიულ სამშობლოში“ გადასასვენებლად და ვლადიკავკაზში აკლდამის ასაგებად. ამაზე რას იტყოდით?

— პასუხს თქვენდამი პატივისცემის გამო გაგცემთ და არა იმის გამო, რომ ამის ღირსნი იმ კომიტეტის ორგანიზატორები არიან! ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე. ტელევიზიით ამაზე გამოპასუხება მაშინ სტალინის შეურაცხყოფად მივიჩნიე, მაგრამ, ჩანს, ეს მაინც საჭიროა. სტალინის „ოსობა“ ოსების მოგონილი არ გახლავთ. როგორც ყოველთვის, ქართველის ლაფში ამომსვრელი მუდამ ქართველი იყო და სტალინიც „ოსად“ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა — ქართველმა მენშევიკებმა მონათლეს. ცნობილია ცილისმწამებელთა მისამართით ნათქვამი სტალინის სიტყვები: „ნუთუ ისეთი სამარცხვინო კაცი ვარ საქართველოსთვის, რომ მენშევიკებმა ეროვნებაც კი შემიცვალესო“. დიდმა ივანე ჯავახიშვილმა სპეციალურად გაადევნა თვალი მისი წინაპრების კვალს და უტყუარად დაამტკიცა, რომ ჯუღაშვილები სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანიდან არიან წამოსულები და დიდ ლილოში ჩასახლებულები. მსოფლიოს არც ერთი გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფია ისე სიზუსტით არ იუწყება მის ეროვნებასა და სოციალურ წარმოშობას, როგორც მამის, ისე დედის მხრივ, როგორც ეს ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიაშია წარმოდგენილი. ალბათ ესეც ქართველი მენშევიკებისა და მათი მიმდევრების პასუხად არის გაკეთებული. ისე რომ, „წინაპართა ისტორიულ სამშობლოში“ გადასვენების შესახებ ოსების ჩალიჩი აბსოლუტურად უპერსპექტივო, უბრალოდ, სასაცილოც კია. როგორც მოსკოვის მერიაში მითხრეს, სიჩქარე საჭირო არ არის. იქ კერძო საუბრიდან გავარკვიე, რომ 1994 წელს 21 იანვრისთვის მოსალოდნელია ვ. ლენინის მავზოლეუმიდან გადასვენება. შემდეგ ჩვენც გაგვეხსნება ხელ-ფეხი. თუ... ახლადარჩეული რუსეთის სახელმწიფო დუმა წითელ მოედანზე პანთეონის გაუქმების წინააღმდეგ არ წავიდა — რუსეთის პარლამენტში კომუნისტების მოსვლამ შეიძლება გარკვეული კორექტივები შეიტანოს ამ საკითხში.

— თვითონ გორელები როგორ უყურებენ თქვენს იდეას?

— საკმაო კეთილგანწყობით. გორში მუზეუმი უნდა აღდგეს და ამოქმედდეს. დღეს იგი სავალალო დღეშია. მეორე წელიწადია მუზეუმიდან 85 უნიკალური ექსპონატია წაღებული: ერთ-ერთმა კერძო ფირმამ ავსტრიაში გამოფენის მოწყობა ითავა და მემორიალური ნივთები ინათხოვრა. მაგრამ ისინი არც ავსტრიაში და არც სხვაგან მოწყობილ გამოფენებზე არ გამოჩენილა. კულტურის სამინისტრომ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი მათ დაბრუნებას. თუ ეს კიდევ გაჭიანურდა, ჩვენი საზოგადოება სასამართლო სარჩელს აღძრავს იმ ფირმის წინააღმდეგ. თუ ჩვენი ჩანაფიქრი განხორციელდა, გორის მუზეუმი სტალინის ნამდვილი მემორიალური ცენტრი გახდება და ტურისტულ მარშრუტში ჩაერთვება. მომავალში, ალბათ, იქვე უნდა გადავასვენოთ სტალინის დედა მთაწმინდიდან, მამა — თელავიდან, ვაჟი — ვასილი — ყაზანიდან...

— სტალინის შთამომავლებთან თუ გაქვთ კავშირი?

— შევხვედრივარ სვეტლანა ალილუევას. როცა მის თბილისის გამოკეტილ ბინაში სხვა პირი შეიჭრა დაპატრონების მიზნით, ყველაფერი ვიღონე იმ კაცის გამოსასახლებლად და ბინა შევუნარჩუნე ალილუევას. მაშინ პარტიის ცეკას მდივნად ვმუშაობდი. ვმეგობრობ სტალინის შვილიშვილთან, იაკობის შვილთან, პოლკოვნიკ ევგენი ჯუღაშვილსა და მის ოჯახთან. ორი ვაჟი ჰყავს. იგი მოსკოვიდან თბილისში გადმოსახლდა. სამგორის საბჭოთა მეურნეობაში დირექტორობის დროს იქ საბაღე ნაკვეთი და ფინური კოტეჯი გამოვუყავი. პაპამისის გულმოდგინებით უვლის მიწას.

— ბატონო გრიგოლ, როდის და როგორ მოხდა თქვენი ჩამოყალიბება ასეთ უდრეკ სტალინელად?

— მოწაფეობის წლებში სკოლის აღიარებული დეკლამატორი გახლდით. მაშინ სტალინზე საუკეთესო ლექსები იწერებოდა და ბუნებრივია, ხშირად მიწევდა სცენიდან მათი კითხვა. „ფოლადო გაუტეხელო, კაცო, მართალო ყელამდე...“ როგორია! ჰოდა, ასე თანდათან, საბოლოოდ კი — 1956 წლის მარტის მოვლენების შემდეგ. მაშინ, ზოგიერთ სტუდენტთან ერთად, მეც დამიჭირეს. სუკში მამაჩემმა იყვირა „ეს არის საქმე? ადრე მამაჩემს იჭერდით, სტალინი რატომ გძულსო, ახლა ჩემს შვილს იჭერთ, სტალინი რატომ გიყვარსო“.

— მახსოვს, 1990 წლის არჩევნებში ძალიან აქტიურობდა პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ და პირადად თქვენც. რატომ აღარ მონაწილეობთ რომელიმე პარტიის საქმიანობაში?

— 1990 წელს კომპარტია აიკრძალა, „სტალინი“ არჩევნებიდან მოხსნეს. ასე დავრჩი „თამაშგარე“ მდგომარეობაში. მაგრამ ჩვენ, სტალინელებმა, ახლა ჩამოვაყალიბეთ „საქართველოს სტალინური პარტია“. დამოუკიდებელმა პრესამ საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მისი ლეგალიზება — პროგრამისა და წესდების გამოქვეყნება. ეს მე დღევანდელი საქართველოს დემოკრატიზაციის კურსის გამარჯვებად მიმაჩნია. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ალბათ, ჩვენც ვიტყვით ჩვენს სიტყვას.

— ეს რა, საზოგადოება „სტალინი“ გარდაიქმნა პარტიად?

— არა. საზოგადოება საზოგადოებად — არაპოლიტიკურ ორგანიზაციად დარჩა. პარტია სხვაა. ნურავის ეხამუშება მისი სახელწოდება. იგი საქართველოს უკეთესი დღეებისთვის იბრძოლებს. მისი მთავარი მოწოდება იქნება: სტალინური დისციპლინა, სტალინური სოციალური სამართლიანობა, სტალინური ინტერნაციონალიზმი...

წინდაწინ ვიცი, რომ ყველა მკითხველი ერთნაირად არ გაითავისებს გ. ონიანის მოსაზრებებსა და მრწამსს. მაგრამ ნებისმიერ ჩვენგანს უფლება აქვს სწამდეს ის, რაც სწამს. ერთი კია, ბატონი გრიგოლი სულით ხორცამდე ქართველი კაცია და მისი ცხოვრებისეული კრედო, მიუხედავად იმისა, მისაღებია თუ არა იგი ყველასთვის, სამშობლოს მხურვალე სიყვარულით არის ნასაზრდოები.

ალეკო ასლანიშვილი.

ეკატერინე (კატო) სვანიძე — ი. ბ. სტალინის პირველი მეუღლე.

სტალინი: ანფასი და პროფილი ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს ბლანკზე. 1908 წ.

თვითნებური საგუშაგოები უნდა გაუქმდეს

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, სახელმწიფოს მეთაურმა მკაცრად შეაფასა რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე ამჟამად შექმნილი მძიმე ვითარება, საქინფორმის კორესპონდენტმა ამ ფაქტის თაობაზე კომენტარი სთხოვა საგზაო პოლიციის უფროსს გია ჩეჩელაშვილს.

სახელმწიფოს მეთაურის მითითებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე შექმნილი ვითარება, — თქვა ბატონმა გიამ. — დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებათა მიერ გზებზე მოწყობილი ყველა თვითნებური საგუშაგო გაუქმდეს. ტრასებზე წესრიგის დაცვა, გზების ყაჩაღთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა დაეკისრა მხოლოდ პოლიციას. ეს აუცილებელი და დროული გადაწყვეტილებაა, რადგან რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე ბოლო პერიოდში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, სისტემატური ხასიათი მიიღო სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებათა თვითნებური საგუშაგოებისა და პიკეტების მოწყობამ. ეს ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს. იწვევს პასუხისმგებლობის დაქვეითებას, ერთმანეთისთვის გადაბრალებას. ასეთი პიკეტების დროს სამხედრო პირები ძირითადად ამოწმებენ სამოქალაქო ავტოტრანსპორტსა და ტვირთს, იმის ნაცვლად, რომ შეამოწმონ სამხედრო დანიშნულების ტრანსპორტი და ტვირთი.

ორიოდე დღის წინათ, — თქვა საუბრის დასასრულს ბატონმა გიამ, — სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომლის თანახმადაც, თავდაცვის სამინისტროს, რაიონებისა და ქალაქების გამგებლებს, მაშველთა კორპუსს დაევალათ უმოკლეს ვადაში გააუქმონ მათდამი დაქვემდებარებული დანაყოფების ძირითადი შემადგენლობის მიერ რესპუბლიკის მთავარ ავტომაგისტრალებზე მოწყობილი საგუშაგოები და პიკეტები. ტრასების დაცვა მხოლოდ პოლიციას დაევალა. ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება სასიკეთო შედეგს გამოიღებს.

გულიკო მარკოზაშვილი.
საქინფორმის კორესპონდენტი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

თავდაცვის სამინისტრო ამცირებს შეკვეთას

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო აპირებს კომპანია „მაკდონელ-დუგლასისაგან“ შეიძინოს 40-ზე მეტი მძიმე ს-17 სატრანსპორტო თვითმფრინავი, თუმცა წინათ დაგეგმილი ჰქონდა შეეძინა 37 მილიარდი დოლარის სულ ცოტა 120 ასეთი მანქანა. ასეთი ცვლილებანი დაკავშირებულია იმასთან, რომ კორპორაცია ვერ იცავს დასახულ ვადებს, წარმოიშვა მთელი რიგი ტექნიკური სიძნელეები და ამ პროგრამის შესრულებისათვის რეალურმა დანახარჯებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა წინასწარ გაანგარიშებას. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია მხოლოდ რამდენიმე ს-17 თვითმფრინავი. მაგრამ სჭირდებათ ასეთი მანქანების მიღება, რადგან მათ შეუძლიათ დაჯდომა მოკლე ზოლზე და ოღროჩოღრო ზედაპირზე. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ს-17 თვითმფრინავები შეძლებენ შეცვალონ მოძველებული სტრატეგიული ს-131 და ს-141 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ნაწილი.

პენტაგონს ახალი შეფი ეყოლება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რობერტ ინმენის კანდიდატურა დაასახელა თავდაცვის მინისტრის პოსტზე მას შემდეგ, რაც ახლანდელმა მინისტრმა ლეს ესპინმა განაცხადა, რომ აპირებს გადადგომას. ბ. კლინტონმა გამოთქვა რწმენა, რომ რ. ინმენი წარმატებით უხელმძღვანელებს პენტაგონს „მსოფლიოში მიმდინარე დიდი ცვლილებების“ ახლანდელ რთულ ისტორიულ პერიოდში. ვამცირებთ რა ამჟამად ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხვს, არ უნდა დავაქვეითოთ მათი საბრძოლო მზადყოფნის დონე, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, — ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები უნდა იყვნენ ყველაზე გაწვრთნილი, კარგად შეიარაღებული და საბრძოლოდ გამზადებული“. 62 წლის ოთხვარსკვლავიანი გადამდგარი ადმირალი რობერტ რეი ინმენი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა დაამტკიცა მისი კანდიდატურა, გახდება პირველი საკადრო სამხედრო ამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, რომელსაც დაევალება სათავეში ჩაუდგეს პენტაგონს. **სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სპეციალისტი რ. ინმენი 31 წელიწადს მსახურობდა ფლოტში, ეკავა მაღალი პოსტები პრეზიდენტების ჯ. ფორდის, ჯ. კარტერის, რ. რეიგანისა და ჯ. ბუშის ადმინისტრაციებში. 1977-81 წლებში სათავეში ედგა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სააგენტოს, ხოლო 1981-82 წლებში მუშაობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილედ.** უკანასკნელ წლებში რ. ინმენი ბიზნესმენობდა და მთელი რიგი დიდი კომპანიების ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიოდა.

შეიარაღებული ფორმირებების მოთხოვნები აფორიაქებს ჩეჩნეთს

ჩეჩნეთის გენერალურმა პროკურორმა ელზა შარიპოვამ ჯოხარ დუდაევისადმი ოპოზიციური შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებას უწოდა „ტერორისტული გამოხდომები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლებს მიესადაგება“. ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას მან თქვა, რომ „აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მეამბოხეთა მოქმედების ფაქტის გამო, რომლებიც არსად არ არიან რეგისტრირებულნი და არავის არ ექვემდებარებიან“.

საველე მეთაურებმა, კერძოდ შამილ ბასაევმა, ჰამზათ ხანკაროვმა, სალმან ჩიჩაევმა, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ გაწვრთნილი მებრძოლები, ულტიმატური ფორმით მოითხოვეს დუდაევის გადადგომა პრეზიდენტის პოსტიდან, თავდაცვის სამინისტროს შექმნა და რესპუბლიკის ახალი პარლამენტის დაუყოვნებლივი არჩევნები..

20 დეკემბერს ვადა გაუდის ულტიმატუმს, და ჯოხარ დუდაევმა რაღაც პასუხი უნდა გასცეს. ახლა პრაქტიკულად შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როგორ მოიქცევა ორი მხარე. ცნობილია მხოლოდ, რომ დუდაევის მომხრეები აპირებენ გროზნოს ცენტრში მოაწყონ მიტინგი მის მხარდასაჭერად. მასობრივი ინფორმაციის ოფიციალურმა საშუალებებმა კი გააჩაღეს მეამბოხე ფორმირებათა დისკრედიტაციის კამპანია.

საინტერესოა ჩეჩნეთში გავლენიანი სახალხო ნდობის მთავრობის მეთაურის იარაგი მამოდაევის აზრი. იტარ-ტასის კორესპონდენტთან ტელეფონით საუბარში მან განაცხადა, რომ „დუდაევის საწინააღმდეგო გამოსვლები გროზნოში პროვოკაციულად გამოიწვია თვით დუდაევმა იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა ჩეჩნეთის ეროვნულ სიმდიდრეთა ტოტალური დატაცებისათვის“. მამოდაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დუდაევის პოლიტიკური რეიტინგი კატასტროფული სისწრაფით ქვეითდება და ულტიმატური მოთხოვნების ირგვლივ ატეხილი აურზაური საშუალებას აძლევს მას ყველა უბედურება გადააბრალოს საკუთარ მინისტრებს და თვითონ მშრალი გამოვიდეს წყლიდან“. მაგრამ ამჯერად, დარწმუნებულია იარაგი მამოდაევი, „დუდაევმა უკვე მოიჭრა ტოტი, რომელზეც ზის, და მისი მმართველობა გროზნოში მიმავალ წელთან ერთად დამთავრდება“.

გერმანია-რუსეთის პარტნიორობა

რუსეთის ურთიერთობა გერმანიასთან პარტნიორული რჩება, გერმანია-რუსეთის ღერძი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ახალი ევროპის მშენებლობისა და ევროპის უშიშროების განმტკიცების ლოკომოტივია. ეს განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა კვირას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან კლაუს კინკელთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, რომელიც აქ ორდღიან არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. **კინკელმა დასავლელ პარტნიორებს მოუწოდა ნუ მოახდენენ რუსეთში არჩევნების შემდგომი მდგომარეობის დრამატიზებას. მისი საგარეო და საშინაო კურსი უცვლელი რჩება, ამის გარანტი კვლავინდებურად არის პრეზიდენტი ბორის ელცინი, ხაზგასმით აღნიშნა მან.**

ჰეიდარ ალიევის ვიზიტი

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი კვირას სამი დღით ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა პარიზში. გათვალისწინებულია მისი შეხვედრები საფრანგეთის პრეზიდენტთან ფრანსუა მიტერანთან, სენატის თავმჯდომარესთან რენე მონორისთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ალენ ჟიუპესთან, ორი სახელმწიფოს მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი აგრეთვე მოაწერს ხელს პარიზის ქარტიას ახალი ევროპის შესახებ.

პრეზიდენტი კი არ იგვიანებს, ყოვნდება...

ტალინში გახსნილი ბალტიის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის პირველი კონფერენციის დასაწყისი კურიოზული და ლამის სკანდალური იყო, რადგან 9 საათზე ტალინის „საკალის“ კულტურულ ცენტრში ყველა მოვიდა, გარდა... ესტონეთის პრეზიდენტ ლენარტ მერისა. ლატვიისა და ლიტვის პრეზიდენტები 16 წუთს ელოდნენ კოლეგას, შემდეგ კი ადგნენ და დატოვეს დარბაზი. მათ მიჰყვნენ სხვა დამსწრენიც, მაგრამ 9 საათსა და 30 წუთზე ესტონეთის პრეზიდენტი, რომლისთვისაც ასეთი დაგვიანება დამახასიათებელია, გამოჩნდა სხდომათა დარბაზშიც და წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც შეეხო აგრეთვე რუსეთის პარლამენტის არჩევნების შედეგებს, მთელი ბალტიისპირეთი რომ შეაშფოთა.

სამინისტრო შეშფოთებულია

ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება რუსეთში გამართული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისა და კონსტიტუციის გამო რეფერენდუმის შესახებ. დოკუმენტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ლიტვაში შეშფოთებას იწვევს რევანშისტული და პროიმპერიული გამოვლინებანი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკვე ახლა ნათელია, ნათქვამია განცხადებაში, რომ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს სერიოზული განსაცდელი ელით, ხოლო ყველა სახელმწიფოს, რომელიც ამ ქვეყანაში სტაბილურობით არის დაინტერესებული, სერიოზული ფიქრის პერიოდი დაუდგა.

ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეაფასა კონსტიტუციის გამო რეფერენდუმის შედეგები და მიაჩნია, რომ კონსტიტუციით რუსეთის პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი განაპირობებს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების შემდგომ განხორციელებას.

ყოფილებს „ხალიჩაზე“ იწვევენ

თავისი საქმიანობის დასაწყისშივე ლატვიის სეიმმა შექმნა კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს წინა პარლამენტისა და მთავრობის მუშაობა, რადგან, ბევრის აზრით, ისინი იღებდნენ ზოგიერთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომლებიც არ ყოფილა ლატვიის სასიკეთო. დეპუტატთა კომისიის თავმჯდომარემ რობერტ მილბერგომ განაცხადა, რომ ბევრ ყოფილ და ახლანდელ თანამდებობის პირს დღემდე არ გაუცია პასუხი კომისიის კითხვებზე.

მან იმედი გამოთქვა, რომ შეტანილი იქნება საჭირო ცვლილებები სეიმის რეგლამენტში, რომელიც ამგვარი კომისიის მუშაობის წესსაც განსაზღვრავს, რის შემდეგ, კომისიის სხდომაზე საჭირო ადამიანები შეიძლება იძულებითაც მიიყვანონ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია 93

ზუგდიდის გაზეთის ახალი კოლექტივი

უკვე თვენახევარია ზუგდიდში არ გამოდის რაიონული გაზეთი „ოდიში“. ამ დღეებში ზუგდიდის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, შრომის შესახებ კანონთა რესპუბლიკური კოდექსის შესაბამისად, შრომის დისციპლინის დარღვევისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს გაზეთ „ოდიშის“ მთავარი რედაქტორი, მისი მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი.

გაზეთის ახალ მთავარ რედაქტორად დაინიშნა ადგილობრივი ჟურნალისტი ჯანიკო ფიფია. რედაქციის განახლებული კოლექტივი, რომელსაც ამიერიდან ეწოდება „ზუგდიდი“, ემზადება საახალწლო ნომრის გამოსაშვებად.

●

თავდასხმა რკინიგზის თანამშრომლებზე

სადგურ სამტრედიის ბაქანზე რკინიგზის ობიექტების დაცვის პირველი ათასეულის თანამშრომლებს, რომლებიც სენაკიდან მარნეულში ბრუნდებოდნენ, თავს დაესხნენ შეიარაღებული უცნობი პირები. მათ იარაღის მუქარით რკინიგზის დაცვის თანამშრომლებს წაართვეს „აკ“ სისტემის ექვსი ავტომატური იარაღი, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მიიმალნენ.

მიმდინარეობს გამოძიება.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. დასავლეთ საქართველოში სიტუაცია სულ უფრო სტაბილური ხდება. ზ. გამსახურდიას მომხრენი, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ ხელისუფლებას, მასობრივად აბარებენ იარაღს და უბრუნდებიან მშვიდობიან ცხოვრებას.

ადმინისტრაცია ცდილობს დაიცვას მის მიერ დადებული პირობა და არ მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ის პირები, რომლებსაც არა აქვთ ჩადენილი მკვლელობა. მიუხედავად ამისა, წალენჯიხისა და ზუგდიდის ტყეებში კვლავ იმალებიან შეიარაღებული ჯგუფები. კვლავინდებურად გაურკვეველია „ზვიადისტთა“ პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ადგილსამყოფელი.

თბილისი. დსს „იბერია“ იტყობინება, რომ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, უცხოეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები უნდა დაიშალონ და ნაწილ-ნაწილ შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით საფუძველზე.

თბილისი. აჭარაში პირველად რამდენიმე წლის მანძილზე განიცდიან ელ. ენერგიის ნაკლებობას, რაც დაკავშირებულია ენგურჰესის ამოვარდნასთან საქართველოს საერთო ენერგეტიკული სისტემიდან. თურქეთის მიერ მოწოდებული ელ. ენერგია საკმარისი არ არის. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქეთის მხრიდან ელექტროენერგიის რაოდენობის გაზრდის შესახებ.

თბილისი. ოჯახის პირობებში დამზადებული მწვანე ლობიოთი დაავადდა 17 ადამიანი ბოტულიზმით. 8 მოქალაქე რეანიმაციულ განყოფილებაში წევს.

თბილისი. წუხელ, ღამის 3.00 სთ-ზე, უცნობი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ სასტუმრო „სამგორს“ და სამი ნომრიდან (სადაც მოთავსებული იყვნენ ტიუმენელი სტუმრები) გაიტაცეს 400.000 რუსული მანეთი.

●

ქრონიკა

საქართველოს პარლამენტმა დადგენილება მიიღო პარლამენტის წევრი ზურაბ ქველაძე არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის წევრად.

ილმა რაისნერი საქართველოში

ქალბატონი ილმა რაისნერი, სახელგანთქმული გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი, ამას წინათ, უკვე მერამდენედ, ისევ ეწვია თბილისს. იგი საქართველოს ერთგული მეგობარი, მისი კულტურის თავგამოდებული ქომაგი და პოპულარიზატორია, ავტორია მრავალი სტატიისა და ჰერდერის გამომცემლობის მიერ დასტამბული დიდფორმატიანი, შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნისა — „გეორგიენ“. ჩვენი სამშობლოს დიდი სიყვარულით გამთბარი წიგნი ევროპელ მკითხველს მოუთხრობს საქართველოს ისტორიას, აცნობს ქვეყნის არქიტექტურას, სახვით ხელოვნებას, ლიტერატურასა და მუსიკას. წინასიტყვაობაში ავტორი მადლობას უძღვნის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს და საპატრიარქოს თანამშრომლებს წიგნზე მუშაობისას აღმოჩენილი დახმარებისათვის. წინასიტყვაობის დასასრულ, ავტორი ბრძანებს:

— წინამდებარე წიგნით მსურს მადლობა მოვახსენო სასწაულებრივ ქვეყანასა და მის მკვიდრთ და ახალი მეგობრები შევძინო მათ. გმადლობთ საქართველოვ! (ბოლო ორი სიტყვა ქართულადაა).

წიგნი, რა თქმა უნდა, მეცნიერული ნაკვლევი არ არის, მაგრამ თავისი ჟანრის შესაბამისად იგი კვალიფიციურად, ქართველოლოგიის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით, სათანადო დონეზეა დაწერილი.

მას შემდეგ, რაც სცნო ჩვენი მამულის სიყვარული, ილმა რაისნერის მოღვაწეობის დიდააზრი საქართველოს ფენომენის პოპულარიზაცია შეიქნა, იგი კითხულობს მოხსენებებს, აწყობს ფოტოგამოფენებს, გერმანიაში იწვევს ქართული სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების ოსტატებს.

ჩვენთან საუბარში ქალბატონმა რაისნერმა ბრძანა:

— ამჟერად, საქართველოს ვეწვიე ჩემი მრავალრიცხოვანი, ძველი მეგობრების მოსანახულებლად, და ჩემი და ჩემს თანამოძმეთა მიერ მოძღვნილი მცირე ნობათის, თუ როგორც ახლა ამბობენ, ჰუმანიტარული დახმარების მოსართმევად და მისი ჯეროვნად განაწილებისათვის თვალის მისადევნებლად. მეორე მიზანი ჩემი სტუმრობისა, ინფორმაციის მოკრება გახლავთ. საქართველოს დღევანდელი ვითარების ამსახველი ინფორმაცია ჩვენში მთლად კარგი როდია; ან საერთოდ არაფერს ამბობენ, ანდა, ნათქვამი ხშირად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ვერ ვიტყვი, რომ სულ მცდარია, მაგრამ ყოველთვის არაა ჭეშმარიტი. ვითარება აქ იმდენად რთულია, რომ გერმანიის თვალსაწიერიდან ძნელს მისი შეფასება. ამიტომ წელსაც, ისე, როგორც შარშან, ჩამოვედი, რათა საკუთარი თვალით ვიხილო და თავად განვსაჯო ყოველივე. ბევრ ადამიანს ვესაუბრე, მრავალი ინტერვიუ ჩავიწერე გერმანულ გაზეთებში დასაბეჭდად. ვეცდები ამ მასალების საფუძველზე გერმანელთათვის გასაგები გავხადო, რა ხდება საქართველოში, რადგან როგორც ვთქვი, სამწუხაროდ, შვეიცარიული პრესისა და გერმანიის ზოგიერთი გაზეთის ინფორმაცია ცალმხრივია და ძალიან ტენდენციური.

GEORGIEN
GESCHICHTE · KUNST · KULTUR

ჩემს კითხვაზე, იცნობს თუ არა საქართველოს რიგითი გერმანელი მოქალაქე, ქალბატონმა რაისნერმა, ბრძანა:

— არავინ იცნობს იმათ გარდა, ვინც სტუმრად ყოფილა საქართველოში და ვინც მასთან საქმითაა დაკავშირებული. საქართველოს ხსენებაზე გერმანელს თუ ამერიკული ჯორჯიის ასოციაცია არ გაუჩნდა, მაშინ იგი ამ ქვეყანას რუსეთთან აიგივებს. ჩემს მოხსენებას რომ მოისმენენ, ფოტოგამოფენას დაათვალიერებენ და ჩემს წიგნს გაეცნობიან, დამსწრენი მეტყვიან ხოლმე, არ ვიცოდით, თუ არსებობდა საქართველო, ქვეყანა ესოდენ მშვენიერი ბუნებითა და ძველი კულტურით. მრავალს უჩნდება სურვილი ჩამოსვლისა, მაგრამ თავს იკავებენ უკეთესი დროის მოლოდინში.

მე მჯერა, ეს დროც მალე დადგება, — თქვენს მიწაზე უთუოდ დაივანებს მშვიდობა.

ზურაბ აბაშიძე.

საახალწლო

ახალგაზრდული ლატარია «ჰოროსკოპი»

ლატარიის შინაარსი და პირობები:

ლატარია „ჰოროსკოპი“-ში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეადგინოთ თქვენი ჰოროსკოპი. იგი შედგება ხუთი ციფრისგან. მოგებულად ჩაითვლებით თუ თქვენი ჰოროსკოპის ხუთი ან ოთხი ციფრი დაემთხვევა გათამაშებულ ხუთ ციფრს 36-დან. ციფრების თანმიმდევრული დამთხვევა აუცილებელი არ არის. „ჰოროსკოპის“ საპრიზო ფონდი შეადგენს ას მილიონ კუპონს. აქედან 60 % გადაეცემა ხუთ ციფრიან მოგებულებს, 40% ოთხ ციფრიან მოგებულებს. მოგებულ თანხას მიიღებთ მყარი ვალუტით. ლატარიის ტირაჟი გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით 1994 წლის 1 იანვარს. დამატებით გამოქვეყნდება გაზეთში. ჰოროსკოპის ღირებულება ორმოცი ათასი კუპონია.

თქვენ შეგიძლიათ მოგებისათვის გამოიყენოთ ოჯახის წევრის ჰოროსკოპი.

მოგებულები მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ ჰოროსკოპის საპრიზო გათამაშებაში.

ჰოროსკოპის შედგენის წესი:

1 პირველი ციფრი: შედგება დაბადების წელი, თვე და რიცხვისაგან. მაგალითად: დაბადებული 1974 წლის 2 დეკემბერს, დეკემბერი მე-12 თვეა. დაბადების წელი უნდა დაიყვანოთ ერთნიშნამდე და მას მიუმატოთ თვე და რიცხვი 1+9+7+4=21=2+1=3 3+2+12=17

თუ თქვენი რომელიმე ციფრი აღემატება 36-ს მას დაიყვანთ ერთნიშნამდე.

მაგ: 48=4+8=12=1+2=3.

II-III მეორე ციფრი: შედგება სახელისაგან, მესამე გვარისგან. სრულად დაწერეთ თქვენი გვარი და სახელი ცხრილის მიხედვით თითოეულ ასოს შეუსაბამეთ ციფრი შემდეგ შეკრიბეთ.

მაგალითად: ნ ა თ ი ა — ხ ა რ ა ბ ა ძ ე

4 1 8 9 1 = 23 — 4 1 8 1 2 1 1 5 = 23.

თუ გაქვთ ორი ან სამი ერთნაირი ციფრი საკმარისია ერთი ასეთი გათამაშებული ციფრი.

IV მეოთხე ციფრი: შედგება წლოვანებისგან 19.

V მეხუთე ციფრი: ბოლო ციფრს გაამრავლებთ ოთხზე თუ 36 აღემატება დაიყვანთ ერთნიშნამდე.

აქ ჰოროსკოპის ციფრებია 17; 23; 23; 19; 4;

მოგების შემთხვევაში წარმოადგენთ დაბადების მოწმობას ან პასპორტს.

1	2	3	4	5	6	7	8	9
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს
ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც
ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ			

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ შემდეგ მისამართზე: კავკასიის ბანკი, ვაჟა ფშაველას № 72. აგრომრეწვბანკი ხაზინის ქ. 3 (კოლმეურნეობის მოედანი).

ლატარეა საქველმოქმედოა.

საზოგადოება „მეტეხი“



ყველაზე იაფად !!!

იყიდება წყლის სწრაფმოქმედი ელექტროგამაცხელებლები

ATMOR SUPER-5

(ისრაელის წარმოების)

5 კვტ. 220ვ.

ფასი: $ 120

ტელ: 95-24-46
95-06-42
95-69-38

"ATMOR"- ის ელექტროგამაცხელებლებს შორის ეს სუპერ მოდელი გამოირჩევა ფანტასტიკური შესაძლებლობებით:

- აცხელებს წყალს აპარატში გავლის დროს ...ტემპერატურის კონტროლის ორი გზა ...იზოგება ელექტროენერგია და წყალი
- აცხელებს განუსაზღვრელი რაოდენობის წყალს ...ირთვება ავტომატურად წყლის მიწოდებასთან ერთად ...მეტად მარტივი დასაყენებელი და სახმარია
- შეიძლება დააყენოთ ნებისმიერ ადგილას: აბაზანაში, სამზარეულოში, საცხოვრებელ ბინაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.
- აღჭურვილია ორმაგი ავტომატური დაცვით

იჩქარეთ, რადგან ახალი წლიდან ფასი გაიზრდება

ქუთაისში მუშაობას შეუდგა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო სოხუმში მუშაობა შეწყვიტა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა, რომლის კოლექტივმა აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს დიდი გაჭირვება გადაიტანა. ვესაუბრე ამ ინსტიტუტის რექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ ფრუიძეს.

— ბატონო ვახტანგ! სოხუმში ყოფნისას ხშირად მსმენია, თუ რა დიდი მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა სოხუმის დაცვაში. კონკრეტულად რას გვეტყოდით ამის გამო?

— აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ინსტიტუტის მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან ჩამოყალიბდა ასეული, რომელიც ქალაქს იცავდა. ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი გმირულად დაიღუპა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყო გამოთვლითი ტექნიკის კათედრის დოცენტი, 30-ზე მეტი სამეცნიერო გამოგონების ავტორი გოდერძი დუნდუა. მისთვის მინდობილ ტანკში მან მართვის კომპიუტერული სისტემა შექმნა. იმ ტანკზე ლეგენდებს ჰყვებიან, აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები რამდენიმე თვეს ნადირობდნენ მასზე. გოდერძის სამი მცირეწლოვანი ბავშვი და მეუღლე დარჩა, ისინი ახლა ქუთაისში იმყოფებიან.

სოხუმის დაბომბვისა და სარაკეტო ცეცხლით დაშენის დროს დაიღუპა და დაიჭრა უმაღლესი სასწავლებლის ათობით თანამშრომელი და სტუდენტი. დაზიანდა ინსტიტუტის სასწავლო კორპუსები.

სოხუმის დაცემის შემდეგ მხეცურად მოკლეს ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, დოცენტი იური ნორაკიძე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის კათედრის გამგე კარლო ჩხენკელი და ინსტიტუტის ზოგიერთი სხვა თანამშრომელი.

— როგორ მოხერხდა ქუთაისში სასწავლებლის მუშაობის აღდგენა?

— 25-26 სექტემბერს ინსტიტუტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთი ნაწილი ხომალდებით და თვითმფრინავებით გამოვიდა სოხუმიდან, უმრავლესობამ ფეხით გადაიარა სვანეთი. სამწუხაროდ, სვანეთის მთებშიც დიდი დანაკლისი განვიცადეთ — გაჭირვებასა და სიცივეს ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი ნაზი ჯიქია.

მასწავლებელთა და სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ახლა ქუთაისში, ზუგდიდსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში იმყოფება. სხვათა შორის, 1959 წლამდე ჩვენი ინსტიტუტი ქუთაისში ფუნქციონირებდა, ხოლო მომდევნო 34 წელი — სოხუმში. ქუთაისის მერია და ქალაქის მოსახლეობა ყურადღებას არ გვაკლებენ. მეცადინეობა 13 დეკემბერს დავიწყეთ.

ახალ წლამდე წაკითხული იქნება ლექციების კურსი დღისა და დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტებისათვის. შემდეგ ისინი ინდივიდუალურად იმეცადინებენ. გაისად, მარტიდან, კი განახლდება სასწავლო პროცესი.

საუბარს უძღვებოდა
თენგიზ პაჭკორია.

სემინარი

გავაჯანსაღოთ ეკონომიკა

ამ დევიზით ეკონომიკის მართვის სამეცნიერო-საკონსულტაციო ინსტიტუტმა რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ყველა სამინისტროს, ორგანიზაციისა თუ საწარმოთა სამსახურების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის ჩაატარა მოკლევადიანი სემინარული სწავლება.

გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გზები და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ალტერნატიული მოდელები“. მოისმინეს მოხსენებები თემაზე — „სინდიკატური დაგეგმვის არსი და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, „ფასების მექანიზმი ინდიკატური დაგეგმვის სისტემაში“, „საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის წარმოება-მიწოდების წესის შესახებ“. სემინარზე განიხილეს აგრეთვე პრივატიზაციის საკითხები, საფინანსო პოლიტიკის პრობლემები.

გერმანელ მეცნიერთა დიდი ინტერესი

მიუხედავად საქართველოში არსებული მძიმე ვითარებისა, ქართველი არქეოლოგები განაგრძობენ ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას. გარდა საველე კვლევა-ძიებისა და თეორიული მუშაობისა, არქეოლოგებს ურთიერთობები აქვთ საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან. მაგალითად, ახლახან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. მაინცში, შედგა რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი კოლოკვიუმი თემაზე: „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები რომაულ და ბიზანტიურ ხანაში“. მოხსენებები წაიკითხეს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ოთ. ლორთქიფანიძემ, დირექტორის მოადგილეებმა, პროფესორმა: თ. მიქელაძემ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჯაფარიძემ, ცენტრის სექტორის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. დუნდუამ, უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა, მეცნიერების კანდიდატმა ო. ლანჩავამ, და მეცნიერთანამშრომელმა ნ. ინაშვილმა. მოხსენებებმა გერმანელი მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია და გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერების მოხსენებები დაისტამბება ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის სპეციალურ კრებულში.

არჩილ ცინცაძე.

უნგრეთიდან — ოქრო-ვერცხლით

11-12 დეკემბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის კონგრესის სასახლეში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — ძალისმიერ სამჭიდში, რომელშიც პირველად იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ტურნირზე გამგზავრების წინ მოულოდნელად სპონსორის გარეშე დარჩა, რის გამოც, გამარჯვების 5 კანდიდატი სამშობლოში დარჩა. შეჯიბრებაზე წასვლა საკუთარი სამილიონებო თანხით მხოლოდ სიღნაღელებმა — დავით მერაბიშვილმა (67,5 კგ) და შოთა ბექაშვილმა (110 კგ) მოახერხეს და ბრწყინვალედაც გამოვიდნენ. ბექაშვილმა 15 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი კლასიკურ წოლჭიმში და ოქროს მედალი მოიპოვა. შესანიშნავად ჩაერთო ბრძოლაში მერაბიშვილი, რომელმაც 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, მაგრამ მკერდის არეში მიღებულმა ტრავმამ აიძულა შეეწყვიტა გამოსვლა. საბოლოოდ მას „ვერცხლი“ გადაეცა. მსოფლიოს ახალი რეკორდით გერმანელმა კურტ როოხმა გაიმარჯვა.

საქართველოს ათლეტიზმის ფედერაცია დიდ მადლობას უხდის ტურისტულ ფირმა „ბერიკას“ (პრეზიდენტი ქალბატონი ნატალია ჩიკვაიძე), რომლის დახმარების გარეშეც ვერც ერთი სპორტსმენი ვერ ჩააღწევდა ბუდაპეშტში.

ზაზა ჯაფარიძე.

ბრძოლა თებერვალში განახლდება

კალათბურთელ ვაჟთა მესამე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები დაასრულეს „ბ“ ჯგუფის გუნდებმა.

დაუმარცხებლად ითამაშეს დედაქალაქის კლუბებმა — „თბილისმა“ და „დინამომ“, რომელთა პირადი მატჩიც შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ელექტროენერგიის გამორთვის გამო შეწყდა (ამ დროს წინ იყო „თბილისი“ — 47:39) და მოგვიანებით გაიმართება.

ჩემპიონატი გაისად თებერვალში განახლდება. აქვე გაცნობებთ, რომ იტალიიდან დაბრუნდა ჭაბუკთა კლუბი „კაქტუსი“, რომელმაც იქაურ ტურნეში 2 შეხვედრა მოიგო და 1 წააგო.

რაგბი

წილისყრა ლას-ვეგასში

ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნება 17 ივნისს, გერმანიისა და ბოლივიის (ც ჯგუფი) მატჩით.

გთავაზობთ ლას-ვეგასში გამართული წილისყრის სრულ შედეგებს:

ა ჯგუფი. აშშ, შვეიცარია, კოლუმბია, რუმინეთი.

ბ ჯგუფი. ბრაზილია, რუსეთი, კამერუნი, შვედეთი.

გ ჯგუფი. გერმანია, ბოლივია, ესპანეთი, კორეა.

დ ჯგუფი. არგენტინა, საბერძნეთი, ნიგერია, ბულგარეთი.

ე ჯგუფი. იტალია, ირლანდია, ნორვეგია, მექსიკა.

ვ ჯგუფი. ბელგია, მაროკო, ჰოლანდია, საუდის არაბეთი.

მწვავე სიგნალი

მოიპარეს ცხენები, ინვენტარი

ზუგდიდში წლების მანძილზე მუშაობდა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აგებული კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსები.

მეორე წელიწადია, რაც ბედის ანაბარადაა მიტოვებული საერთაშორისო სტანდარტების მქონე საცხენოსნო-სპორტული ბაზა. ამ ბაზის მესვეურთა ყოჩაღობით, გატაცებულია სუფთა სისხლის ინგლისური ჯიშის შვიდი სული ცხენი, ხოლო სოფელ რუხში მდებარე სასტენდო სროლის კლუბი და მისი მიმდებარე ტერიტორია აღგვილია პირისა მიწისაგან.

უფრო მეტიც, საერთოდ უპატრონოდაა მიტოვებული ზუგდიდში ტანვარჯიშის, ჭიდაობის, მშვილდოსნობის საწვრთნელო დარბაზები, საცურაო აუზი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. ქალაქსა და რაიონში არსებული სპორტულ-საწვრთნელი ნაგებობებიდან უმოწყალოდ არის გატანილი სხვადასხვა დასახელების სპორტული ინვენტარი, რომელთა ღირებულება დღევანდელ პირობებში ათეულ მილიონობით კუპონს აღემატება.

სპორტულ შენობა-ნაგებობებზე ასეთი თავდასხმების მიუხედავად, ზუგდიდელ სპორტსმენებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ სპორტული ცხოვრება. მათ 1992-1993 წლებში საქართველოს, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირებში მოიპოვეს ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

თამაზ როგავა.

ხსოვნა

ლევან თოფურია



66 წლისა გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე **ლევან სერგოს ძე თოფურია.** მან სახელოვნად განვლო არც თუ იოლი გზა ინჟინერ-მშენებლიდან დაწყებული საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრამდე. სადაც კი უმუშავია ლევან თოფურიას — „საქსახწყალპროექტში“ — ინჟინერ-დამპროექტებელი, „ქვათურმშენში“ — მთავარი ინჟინერი, მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი ტრესტის მმართველი, ამავე უწყებაში მინისტრის მოადგილე — ყველგან გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით საქართველოში აშენდა არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი.

1979 წლიდან ლევან თოფურია ინიშნება საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. სწორედ ამ თანამდებობაზე მან კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი ნიჭი, როგორც ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, ფანატიკური თავდადება საქმისადმი, სისპეტაკე და პრინციპულობა, დაუმორჩილებლობა ყოველივე არაკომპეტენტურობისადმი. სწორედ ამიტომ მან 1991 წლის 12 დეკემბერს დემონსტრატიულად დატოვა თანამდებობა. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს ერთ-ერთი პირველი დადგენილებით 1992 წლის 8 იანვარს ლევან თოფურია დაინიშნა საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრად. სამწუხაროდ, ამ თანამდებობაზე მან ვერ მოასწრო იმის გაკეთება, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა. საქართველოს პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის გაფორმების შემდეგ ლევან თოფურია განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ლევან თოფურია ყველგან სარგებლობდა ხალხის სიყვარულით, დიდი ავტორიტეტით. ნამდვილი თბილისელი, ვერელი, თავის ქალაქზე, ქართულ კულტურაზე, მის ხელოვნებაზე, განსაკუთრებით ქართულ სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო. მეგობრებით გარშემორტყმული ლევან თოფურია იყო თბილისის კოლორიტული ფიგურა.

წავიდა ჩვენგან არაჩვეულებრივი მეუღლე, მეგობარი, საქართველოს ბედით შეწუხებული კაცი და დაგვიტოვა ერთი ანდერძი — გიყვარდეთ ერთმანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტრო.

ლეო ქავთარაძე

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი **ლეო ქავთარაძე.**

დაიბადა 1920 წლის 29 ოქტომბერს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ნევროლოგიის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს პეტრე ქავთარაძის ოჯახში. პირველი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1948 წლიდან ოთხი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე. მრავალი თაობის სხვადასხვა დარგის კურსდამთავრებულებს ღრმად ჩაებეჭდათ მის მიერ ცოცხლად და მახვილგონივრულად წაკითხული ლექციები უმაღლეს მათემატიკაში. ჭეშმარიტი პედაგოგიური და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ლექტორი, ღრმა მეცნიერული ცოდნითა და დიდი ერუდიციით გამოირჩეოდა.

ლეო ქავთარაძე ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება იყო თავისი თაობის ადამიანებს შორის. სპეტაკი ზნეობისა და გამორჩეული სიკეთის მქონე, სიცოცხლით სავსე, ნამდვილი მამულიშვილი. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ გარშემო მყოფებზე და ასეთადაც დარჩება ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; უმაღლესი მათემატიკის № 3 კათედრა.

ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირი ღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პოეტ გიორგი გიგაურის ძმა

ბერდია (მიხეილ) ხვთისოს ძე გიგაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა თიანეთში, ა. წ. 21 დეკემბერს.

განცხადება

რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე ენერგეტიკული კრიზისის გამო, „საქენერგოს“ დეპარტამენტი დედაქალაქის სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების (ელექტროტრანსპორტი, საავადმყოფოები, პურის ქარხნები, წყალმომარაგების ობიექტები და სხვა) ელ. ენერგიით უზრუნველყოფის მიზნით აცხადებს შეზღუდვის გრაფიკს ქ. თბილისში 1994 წლის 15 იანვრამდე:



ძაბვა შეეწყდებათ:

I. 8 საათიდან 13.30 საათამდე და 16 სთ—დან 22 სთ—მდე; 2 სთ—დან 5 სთ—მდე: გლდანის, დიდი დიღმის, ვარკეთილის, ვაზისუბნის, მუხიანის მასივებს, ნუცუბიძის პლატოს და მესამე მასივს.

II. თბილისის დანარჩენ მოსახლეობას ძაბვა შეეწყდებათ 8 საათიდან 14 საათამდე და 16 სთ—დან 22 სთ—მდე: 2 სთ—დან 5 სთ—მდე:

ავარიის შემთხვევაში გრაფიკის შეუსრულებლობისას მოსახლეობას ნაცვლად გათვალისწინებული საათებისა ძაბვა მიეწოდებათ პირველივე შესაძლებლობისთანავე, იგივე დროის ხანგრძლივობით.

საქენერგო ბოდიშს უხდის მოსახლეობას ასეთი იძულებითი ღონისძიების გამო და მთავრობის დახმარებით ყველა ღონეს ხმარობს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

დეპარტამენტი „საქენერგო“

მთავარი რედაქტორი ბურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 39.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434